ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,

ეკონომიკის მიმართულების მაგისტრანტი

მათე შვანგირაძე

სამაგისტრო ნაშრომი

# თემა : საქართველოს საგარეო ვაჭრობა დსთ - ს ქვეყნებთან

მეცნიერ-ხელმძღვანელი : აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

თბილისი

2019

# სარჩევი

შესავალი ..................................................................................................................................3

*თავი I. საგარეო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები* ..........................................................10

1.1 საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მსოფლიოში, 1995 – 2018 წწ. ...............................11

1.2. საქონლისა და მომსახურების იმპორტის მსოფლიო მაჩვენებლები,
1995-2018 წწ. .................................................................................................................................13

1.3. საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის სალდო, 1995-2018 წწ. .....................14

1.4. მთლიან სამამულო პროდუქტში საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა
და იმპორტის წილები (%) მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში ....................16

1.5. დსთ - ს ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ინდიკატორები ........................................19

*თავი II. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები* ..........................................................23

2.1. ზოგადი ანალიზი ....................................................................................................................25

2.2. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ჯამური მაჩვენებლები, 1995-2018 წწ. ....................................26

2.3. საქართველოს საქონელთა ექსპორტ-იმპორტის წილი (%) მთლიან
სამამულო პროდუქტში ...............................................................................................................27

2.4. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი დსთ-ს ქვეყნებში უმსხვილესი
სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2012-2018 წწ. ....................................................................29

2.4.1. ზოგიერთი მსხვილი ექსპორტიორი კომპანიის მახასიათებლები ...................................39

2.4.2. ზოგიერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანიის მახასიათებლები ....................................50

2.5. დსთ-ს ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზოგადი მიმოხილვა ....................................58

*დასკვნა* .........................................................................................................................................63

*დანართი 1.* ...................................................................................................................................63

*გამოყენებული ლიტერატურა* ....................................................................................................77

„არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დიდი ხნით იმპორტი აწარმოოს, უკეთუ იგი თვითონაც ექსპორტს არ ეწევა, და არ შეუძლია დიდი ხნით ექსპორტი აწარმოოს, თუ იგი იმპორტს არ ეწევა.“

დეივიდ რიკარდო.

# შესავალი

*თემის აქტუალობა*

ვაჭრობას წამყვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ის უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე ქვეყნებს შორის საქმიანი კავშირურთიერთობების გამყარებით. საერთაშორისო ვაჭრობა განვითარდა მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, განსაკუთრებით - XVI-XVIII საუკუნეებიდან. მისი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის.

თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია თითქმის ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქტით დააკმაყოფილოს სამამულო მოსახლეობის მოთხოვნები. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქტის იმპორტი, რომლის ხარჯების დაფარვა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. როგორც წესი, რაც უფრო დიდია ქვეყანა, მისი ეროვნული პროდუქტის უფრო მეტი წილია ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში.

საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობის მოცულობა ტრადიციულად საკმაოდ დიდია, მისი განვითარების პოტენციალი კიდევ მეტი, რაც თემის აქტუალობას კიდევ უფრო ზრდის. მთავარია ეს ურთიერთობები დაეყრდნოს თანსწორობის პრინციპებს და გამოირიცხოს მასზედ პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედება.

მოკლედ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების შესახებ:

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნას საფუძველი დაედო 1991 წლის 8 დეკემბერს, როდესაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა) ლიდერებმა ბელორუსში (ბელოვეჟი) ხელი მოაწერეს დსთ-ს შექმნის ხელშეკრულებას. იმავე წლის 21 დეკემბერს ყაზახეთში (ალმა-ათა) მათ შეუერთდნენ ყოფილი სხვა მოკავშირე რესპუბლიკები - ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს გარდა. ალმა-ათაში ხელი მოაწერეს ზემოხსენებული შეთანხმების დამატებით ოქმს, რომლის მიხედვით 11 სახელმწიფომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დააფუძნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა(დსთ), როლის ძირითადი მიზნებია:

- ურთიერთთანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკის, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში;
- საერთო ეკონომიკური სივრცის, სახელმწიფოთშორისი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოების ყოველმხრივი და დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- ადამიანის ძირითადი უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად და სხვ.

დსთ-ს წესდების მიხედვით, თანამეგობრობის მიზნების მისაღწევად, მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობებს აგებენ შემდეგი ურთიერთ დაკავშირებული და თანაბარი პრინციპების შესაბამისად:

- მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტი, ერთა თვითგამორკვევის განუყოფელი უფლება და გარედან ჩარევის გარეშე თავიანთი ბედის განკარგვის უფლების პატივისცემა;

- სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობა, არსებული საზღვრების აღიარება და უკანონო ტერიტორიების პრეტენზიების უარყოფა;
- სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობისა და სხვისი ტერიტორიის დანაწევრებაზე მიმართულ რაიმე ქმედებაზე უარის თქმა;
- დავის განხილვა იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას;
- საერთაშორისო სამართლის უზენაესობა სახელმწიფოთშორის ურთიერთობებში;
- ერთმანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩაურევლობა და ა.შ.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების პრინციპების დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა დსთ-ში ძირითადად რუსეთის მხრიდან.

საქართველო დსთ-ს შეუერთდა 1993 წლის 9 დეკემბერს. თურქმენეთმა 2005 წლის 26 აგვისტოდან დსთ-ს მხოლოდ ასოცირებული წევრია, საქართველომ „ბლოკი" ოფიციალურად დატოვა 2009 წელს, ხოლო უკრაინამ, რომლის პრეზიდენტმა 2018 წელს გამოითხოვა უკრაინელი თანამშრომლები ორგანიზაციის სტრუქტურებიდან, ჯერ კიდევ არ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ალიანსიდან გამოსვლის თაობაზე. მოკლედ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების შესახებ[1] :

- რუსეთის ფედერაცია, ტერიტორიის ფართობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, 2018 წელს მისი მოსახლეობის რიცხოვნებაა 144.5 მლნ. (1991 წელს-148.6 მლნ). ქვეყანა მდიდარია თავისი მინერალური და ენერგეტიკული რესურსებით, 2018 წელს მისი მთლიანი სამამულო პროდუქტი შეადგენს - 1 658 მლრდ (1991 წელს - 518 მლრდ) აშშ დოლარს;

- 2018 წელს ყაზახეთის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 33 მლნ (1991 წელს-21 მლნ), ხოლო 2018 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტი- 170.6 მლრდ (1991 წელს - 24.9 მლრდ) აშშ დოლარს;

[1] ka.wikipedia. org/wiki/დსთ; worldbank.org/indicator 25.04.2019.

- აზერბაიჯანი ეკონომიკურად ძლიერი, ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის ნაწილი - მთიანი ყარაბახის სახით- განცალკევებულია და აზერბაიჯანის ხელისუფლებას არ ემორჩილება. 2018 წელს აზრბაიჯანის მოსახლეობა 10 მლნ (1991 წელს-7.3 მლნ) -ს შეადგენს, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტი - 47 მლრდ (1991 წელს - 8.8 მლრდ) აშშ დოლარს;
- 2018 წელს სომხეთის მოსახლეობამ 3 მლნ (1991 წელს-3.5 მლნ) შეადგინა, მთლიანმა სამამულო პროდუქტმა კი 12.4 მლრდ (1991 წელს - 2.1 მლრდ) დოლარი;

- პოსტსაბჭოთა ეპოქაში ბელორუსის მთლიანი სამამულო პროდუქტი 3.3-ჯერ მეტად გაიზარდა და 2018 წელს შეადგინა 60 მლრდ დოლარი (1991 წელს -18 მლრდ). ამავე წელს მოსახლეობის რაოდენობა იყო 9.5 მლნ, რაც ჩამორჩება 1991 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 10.2 მილიონს;

- 2018 წელს მოლდოვას მოსახლეობა იყო 3.6 მლნ (1991 წელს-3.7 მლნ), მთლიანი სამამულო პროდუქტი კი 11.3 მლრდ (1991 წელს - 11.8 მლრდ) დოლარი. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია;

- უკრაინის მოსახლეობის რიცხოვნობა კლებადია და მან 2018 წელს - 44.6 მლნ (1991 წელს- 52 მლნ) შეადგინა. ამავე წელს ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობაა - 130.8 მლრდ (1991 წელს - 77.5 მლრდ) დოლარი. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი შეაფერხა მისი ტერიტორიის ხელყოფამ;

- უზბეკეთის მოსახლეობა და მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა პოსტსაბჭოურ ეპოქაში გაიზარდა. უზბეკეთში ცნობილია ბამბის, ოქროს, ურანის და ბუნებრივი აირის წარმოებით. ქვეყანაში მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის მკაცრი რეგულაციები, რომელიც აფერხებს იმპორტს სამამულო წარმოების სასარგებლოდ. 2018 წელს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობამ 33 მლნ (1991 წელს - 21 მლნ), მთლიან სამამულო პროდუქტმა კი 50.5 მლრდ (1991 წელს - 13.7 მლრდ) აშშ დოლარი შეადგინა;

- ტაჯიკეთის რესპუბლიკა მთიანი, ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოა ცენტრალურ აზიაში. 2018 წელს მისი მოსახლეობა იყო 9.1 მლნ (1991 წელს-5.4 მლნ), მთლიანი სამამულო პროდუქტი კი 7.5 მლრდ (1991 წელს - 2.5 მლრდ) აშშ დოლარი;

- ყირგიზეთი ისტორიულად, რამდენიმე დიდი ცივილიზაციის გზაჯვარედინზე მდებარეობდა, როგორც აბრეშუმის დიდი გზისა და სხვა საკომუნიკაციო და კულტურული გზების ნაწილი. ყირგიზეთმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს მოიპოვა. 2018 წელს მისი მოსახლეობა შეადგენს 6.3 მლნ (1991 წელს-4.5 მლნ), მთლიანი სამამულო პროდუქტი კი 8.1 მლრდ (1991 წელს - 2.6 მლრდ) აშშ დოლარს;

- თურქმენეთს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა აქვს მდიდარი ენერგორესურსების გამო. ის მსოფლიოში მე-4 ადგილზეა ბუნებრივი აირის მარაგებით; დიდია მისი შემოსავლები ნავთობისა და „გაზის“ ექსპორტისაგან. ასევე, აქ ექსპორტისთვის აწარმოებენ დიდი რაოდენობით ბამბას (ამ მაჩვენებლით ქვეყანა მსოფლიო ათეულში შედის) და სხვ. 1998-2005 წლებში, თურქმენეთი მწვავედ განიცდიდა ბუნებრივი აირის ადეკვატური საექსპორტო მარშრუტების დეფიციტს. 2018 წელს თურქმენეთის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 6.3 მლნ-ს (1991 წელს-4.5 მლნ), მთლიანი სამამულო პროდუქტი კი 40.7 (1991 წელს - 3.2) მლრდ აშშ დოლარს.

მთლიანობაში, გამოცდილება ცხადყოფს, რომ დსთ-ს შექმნამ რუსეთს გარკვეულწილად შეუნარჩუნა პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენა, მაგრამ მხოლოდ გარკვეულწილად, რამეთუ რიგმა ქვეყნებმა გააკეთეს განაცხადი ამ სივრციდან გასვლის შესახებ პირველ რიგში დსთ-ს პრინციპების დაუცველობის გამო.

*პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი:*

საკვლევი პრობლემის ცალკეული ასპექტები შესწავლილია სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში, თუმცა პრობლემა კომპლექსურად ახალი რეალიების გათვალისწინებით გამოკვლეული არ არის. მხედველობაში გვაქვს: ევროკავშირთან მიღწეული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA (The Deep and Comprehensive Free Trade Areas)[2], რომელიც ამავე დროს ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია; უახლოეს წარსულში საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედება, რაც ზრდის ჩვენი მწარმოებლებისათვის ექსპორტის შესაძლებლობებს ჩინეთის ბაზარზე. ბუნებრივია, ეს და სხვ. მოვლენები მკვლევარი-ეკონომისტების პრიორიტეტულ ყურადღებას იპყრობს, თუმცა ასევე ყურადღება უნდა დავუთმოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრების ათვისებასაც, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია* საკვლევ პრობლემაზე: ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები. კერძოდ, საკვლევი პრობლემის ცალკეული ასპექტები განხილულია შემდეგ მეცნიერთა ნაშრომებში: ი., ანანიაშვილი, ლ., ბახტაძე, ს., გელაშვილი, რ., გველესიანი, შ., ვეშაპიძე, ე., ვინოკუროვი, თ., ზუბიაშვილი, მ.,თოქმაზიშვილი, ე., კურმანალიევა, ა., ლიბმანი, ე., მექვაბიშვილი, ვ., პაპავა, რობერტსი, მ., სეფაშვილი, ე., სილაგაძე, ა., ფუტკარაძე, რ., გ., ღაღანიძე, ნ., ხადური, ე., ხარაიშვილი, ჯ., ხარიტონაშვილი, ჯამაგიძე, ლ. და სხვ.; საქართველოს კანონები და საერთაშორისო ხელშეკრულებები; საქართველოს სტატისკიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის და სხვ. ინსტიტუტების სტატისტიკურ-მეთოდოლოგიური მასალები.

---

[2] http://www.dcfta.gov.ge/en/home 25.04.2019.

სამაგისტრო ნაშრომის *კვლევის საგანია* - საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების ვაჭრობის ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში; *კვლევის ობიექტს* წარმოადგენს საქართველო-დსთ-ს ქვეყნების საგარეო ვაჭრობა.

*ნაშრომის მიზანია* დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციების გამოკვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი *ამოცანები :*

- საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური ტენდენციების ანალიზი;
- მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის დინამიკის გამოკვლევა და მთლიან სამამულო პროდუქტში მათი პროცენტული წილების შედარებითი ანალიზი;
- დსთ-ს ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ინდიკატორების გამოკვლევა;
- საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებს შორის ვაჭრობის ტენდენციების შესწავლა-ანალიზი;
- საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებს შორის სასაქონლო მიმოქცევის ანალიზი (TOP -3) და სხვ.

სამაგისტრო ნაშრომის *მეცნიერული სიახლე* საკვლევი პრობლემის კომპლექსურად გამოკვლევის მცდელობაშია.

# *თავი I. საგარეო ვაჭრობის გლობალური ტენდენციები*

მიმდინარე გლობალიზაცია XXI საუკუნის საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც პირდაპირ აისახება საქართველოს განვითარებაზეც. გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, რამდენადაა ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად სწორედ გლობალიზაციის მაღალი დონე მიიჩნევა.

გლობალიზაცია პირველ რიგში თავის თავში თავისუფალი ვაჭრობის ზონებსა და ბაზარს გულისხმობს. მრავალი ქვეყნის ეკონომიკა ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა სხვადასხვა ტრანსეროვნული კორპორაციების ფუნქციონირებით, მათ შორის საქართველოში.

გლობალური ტენდენციები სულ უფრო მეტად იჭრება ეროვნულ ეკონომიკებში. სამამულო ქვეყნების ინტეგრაცია კი, რომელიც თავის თავში ეკონომიკური სუბიექტების გაერთიანებულ, მიზანმიმართულ საქმიანობას გულისხმობს, განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანათა შორის მიმდინარე ვაჭრობის პროცესების მეტად მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

გლობალიზაციის ფონზე საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენები ასევე გავლენას ახდენენ საქართველოსა და დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) ქვეყნებზე, რომლებიც ზოგჯერ მსოფლიოში მიმდინარე ვაჭრობის პროცესების მნიშვნელოვან მოთამაშეებადაც კი გვევლინებიან.

თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე საქართველო მსოფლიოს განვითარებული და განვითარებად სამყაროსთვის სტრატეგიულ ინტერესთა სფეროშია. ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპა-აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში. ამ ფონზე შევეცდებით ვაჩვენოთ გლობალური და კონკრეტულად, საქართველო-დსთ-ს ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციები.

## 1.1 საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მსოფლიოში, 1995 – 2018 წწ.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მაშტაბები პერმანენტულად იზრდება (ცხრილი 1, დიაგრამა 2), მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდასთან ერთად (დიაგრამა 1).

ცხრილი 1. მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის და საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (მიმდინარე აშშ დოლარი)

| მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტი (მიმდინარე $) | | | | | | | | | | | მლრდ. აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2012 | 2016 | 2017 | 2018 |
| 30865 | 33582 | 38900 | 51443 | 57969 | 63616 | 60340 | 66037 | 75046 | 76104 | 80886 | 85791 |
| | | | | | | | | | | | |
| მსოფლიო : საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (მიმდინარე $) | | | | | | | | | | | მლრდ. აშშ დოლარი |
| 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2012 | 2016 | 2017 | 2018 |
| 6 428 | 7 913 | 9 337 | 14 849 | 17 272 | 19 718 | 15 886 | 18 927 | 22 843 | 20 895 | 22 954 | 25 107 |

წყარო : https://data.worldbank.org/indicator/BX.GSR.GNFS.CD / 03.06.2019.

*დიაგრამა 1. მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქი (მიმდინარე აშშ დოლარი)*




*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD 25.04.2019.*

*დიაგრამა 2 . მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ტენდენცია*

*(მიმდინარე აშშ დოლარი)*




*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD 25.04.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა :

- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა 1995 წელს შეადგენდა მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლეობით 1/5-ს;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა მსოფლიოში 1995 – 2018 წწ. გაიზარდა 3.9 -ჯერ;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტმა პიკს მიაღწია 2018 წელს და შეადგინა - 25 107 მლრდ აშშ დოლარი;
- 2009 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზის გავლენით, ექსპორტის მოცულობა შეიკვეცა 4 ტრილიონი აშშ დოლარით;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა 1995-2018 წწ. პერიოდში ყველაზე დაბალი 1995 წელს იყო და შეადგინა 6 428 მლრდ. აშშ დოლარი.

## 1.2. საქონლისა და მომსახურების იმპორტის მსოფლიო მაჩვენებლები, 1995-2018 წწ.

1995-2018 წლებში, მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობაც. (ცხრილი 2; დიაგრამა 3).

*ცხრილი 2. მსოფლიო : საქონლისა და მომსახურების იმპორტი (მიმდინარე აშშ დოლარი)*

| მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტი (მიმდინარე აშშ დოლარი) | | | | | | | | | | | მლრდ. აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2012 | 2016 | 2017 | 2018 |
| 30 865 | 33 582 | 38 900 | 51 443 | 57 969 | 63 616 | 60 340 | 66 037 | 75 046 | 76 104 | 80 886 | 85 791 |
| მსოფლიო : საქონლისა და მომსახურების იმპორტი (მიმდინარე აშშ დოლარი) | | | | | | | | | | | მლრდ. აშშ დოლარი |
| 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2012 | 2016 | 2017 | 2018 |
| 6296 | 7 897 | 9 251 | 14 545 | 16 865 | 19 336 | 15 514 | 18 388 | 22 132 | 20 409 | 22 394 | 24 651 |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/BX.GSR.GNFS.CD /      25.04.2019.*

*დიაგრამა 3. საქონლისა და მომსახურების იმპორტი (მიმდინარე აშშ დოლარი)*




*შედგენილი : https://data.worldbank.org/indicator/NE.IMP.GNFS.CD    25.04.2019.*

დასკვნა :

- საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობა 1995 წელს შეადგენდა მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის 20.3 %-ს;
- საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობა მსოფლიოში 1995 – 2018 წწ. გაიზარდა 3.9-ჯერ;
- საქონლისა და მომსახურების იმპორტმა პიკს მიაღწია 2018 წელს და შეადგინა - 24 641 მლრდ აშშ დოლარი;
- 2009 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით, საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობა შეიკვეცა 3.8 ტრლნ აშშ დოლარით;
- 2014-2016 წლებში შეინიშნებოდა საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობის კლება, რომელმაც საბოლოო ჯამში შეადგინა 2.8 მლრდ. აშშ დოლარი;
- ბოლო წლებში დაფიქსირდა საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- 1995-2018 წწ. საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 6 296 მლრდ აშშ დოლარი დაფიქსირდა 1995 წელს.

## 1.3. საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის სალდო, 1995-2018 წწ.

მსოფლიო ვაჭრობაში საქონელთა ექსპორტსა და იმპორტს შორის სალდოს შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 3 და დიაგრამაში 4.

ცხრილი 3. მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის სალდო

(მიმდინარე აშშ დოლარი)

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | მლრდ აშშ დოლარი |
| 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2012 | 2016 | 2017 | 2018 |
| 132 | 16 | 86 | 304 | 407 | 382 | 372 | 539 | 711 | 486 | 560 | 456 |

შედგენილი : https://data.worldbank.org/indicator/BX.GSR.GNFS.CD / 25.04.2019.

დიაგრამა 4. საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის სალდო

(მიმდინარე აშშ დოლარი)




შედგენილი : https://data.worldbank.org/indicator/BX.GSR.GNFS.CD / 25.04.2019.

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის სალდო 1995-2018 წწ., უარყოფითი მხოლოდ 2001 წელს იყო და ის შეადგენდა 10 მლრდ. აშშ დოლარი;
- საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სალდომ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია 2012 წელს და შეადგინა 712 მლრდ. აშშ დოლარი;
- საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის სალდო 1995 – 2018 წწ. გაიზარდა 3.45 ჯერ;
- საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის სალდო, 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ - 2012 წლამდე, მნიშვნელოვანად გაიზარდა;
- მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის სალდო მნიშვნელოვნად შემცირდა ასევე 2015 წელს;
- 1995-2018 წწ. საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის სალდოს ყველაზე გრძელვადიანი ზრდის პერიოდია 2001-2007 წლები.

## 1.4. მთლიან სამამულო პროდუქტში საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის წილები (%) მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში ექსპორტის წილი სისტემატურად იზრდება და 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 29.4% შეადგინა (1995 წელს - 21.9 %).

*ცხრილი 4. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი (%) მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში*

| 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.9 | 22.0 | 23.2 | 23.4 | 23.7 | 26.0 | 25.3 | 25.3 | 25.8 | 27.4 | 28.6 | 29.8 | 30.0 | 30.7 | 26.5 |
| *2010* | *2011* | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* | | | | | | |
| 28.8 | 30.5 | 30.6 | 30.4 | 30.1 | 29.3 | 28.5 | 29.4 | 29.8 | | | | | | |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS 25.04.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა 2018 წელს შეადგენს მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის 29.8 %-ს ანუ დაახლ. 9 %-ით მეტს 1995 წელთან შედარებით;
- 2016 წლიდან ექსპორტის წილი მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში მონოტონურად იზრდება;

იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქონლისა და მომსახურების იმპორტი წარმოდგენილია ცხრილში 5:

*ცხრილი 5. საქონლისა და მომსახურების იმპორტის წილი (%) მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში*

| 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.5 | 21.6 | 22.5 | 22.7 | 22.8 | 25.1 | 24.6 | 24.3 | 24.9 | 26.6 | 27.5 | 28.6 | 28.9 | 30.1 | 25.8 |
| *2010* | *2011* | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* | | | | | | |
| 28.0 | 29.9 | 29.9 | 29.7 | 29.6 | 28.5 | 27.6 | 28.5 | 29.2 | | | | | | |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS 25.04.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობამ 2018 წელს შეადგინა მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის 29.2 %, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1995 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს;
- 2016 წლიდან იმპორტის წილი მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში მონოტონურად იზრდება;

## 1.5. დსთ - ს ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ინდიკატორები

დსთ-ს ქვეყნებში საგარეო ვაჭრობის, საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ინდიკატორების გასაანალიზებლად შევადგინეთ ცხრილი 6.

*ცხრილი 6. დსთ - ს სახელმწიფოთა საგარეო ბრუნვის მაჩვენებლები (მლნ. აშშ დოლარი)*

| ქვეყნები | | 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2012 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | ექსპ | 991.6 | 2,118.1 | 3,056.4 | 13,954.6 | 22,516.8 | 32,133.3 | 22,870.2 | 36,914.8 | 17,581.0 | 19,839.4 | 25,484.5 |
| | იმპორტ | 1,630.2 | 2,023.5 | 4,769.1 | 8,132.6 | 9,423.6 | 11,464.1 | 10,235.0 | 17,621.9 | 16,529.0 | 17,104.1 | 17,705.2 |
| | სალდო | -0.6 | 0.1 | -1.7 | 5.8 | 13.1 | 20.7 | 12.6 | 19.3 | 1.1 | 2.7 | 7.8 |
| | ბრუნვა | 2.6 | 4.1 | 7.8 | 22.1 | 31.9 | 43.6 | 33.1 | 54.5 | 34.1 | 36.9 | 43.2 |
| ბელორუსი | ექსპ | 6,939.6 | 8,815.3 | 11,615.9 | 22,195.2 | 27,593.4 | 37,027.9 | 24,865.4 | 51,744.7 | 29,831.1 | 36,551.7 | 41,882.7 |
| | იმპორტ | 7,552.7 | 9,221.3 | 12,298.6 | 23,737.2 | 30,431.3 | 41,721.3 | 30,401.9 | 48,809.5 | 29,922.1 | 36,436.0 | 41,253.1 |
| | სალდო | -0.6 | -0.4 | -0.7 | -1.5 | -2.8 | -4.7 | -5.5 | 2.9 | -0.1 | 0.1 | 0.6 |
| | ბრუნვა | 14.5 | 18.0 | 23.9 | 45.9 | 58.0 | 78.7 | 55.3 | 100.6 | 59.8 | 73.0 | 83.1 |
| თურქმენეთი | ექსპ | 2,084.4 | 1,604.4 | 1,949.1 | 3,608.8 | 4,657.6 | 11,056.9 | 9,517.5 | 20,688.1 | 8,011.7 | 8,521.4 | 9,239.0 |
| | იმპორტ | 2,090.2 | 1,404.2 | 1,828.8 | 1,781.1 | 2,469.5 | 7,197.9 | 11,697.9 | 17,758.2 | 14,430.0 | 11,797.7 | 5,094.0 |
| | სალდო | 0.0 | 0.2 | 0.1 | 1.8 | 2.2 | 3.9 | -2.2 | 2.9 | -6.4 | -3.3 | 4.1 |
| | ბრუნვა | 4.2 | 3.0 | 3.8 | 5.4 | 7.1 | 18.3 | 21.2 | 38.4 | 22.4 | 20.3 | 14.3 |
| მოლდოვა | ექსპ | 1,054.0 | 639.1 | 1,056.1 | 1,542.4 | 2,006.1 | 2,471.5 | 2,005.6 | 2,711.4 | 2,607.8 | 3,007.2 | 3,440.6 |
| | იმპორტ | 1,190.1 | 986.5 | 1,718.3 | 3,132.1 | 4,275.3 | 5,667.5 | 3,997.5 | 5,676.1 | 4,465.8 | 5,273.7 | 6,363.2 |
| | სალდო | -0.1 | -0.3 | -0.7 | -1.6 | -2.3 | -3.2 | -2.0 | -3.0 | -1.9 | -2.3 | -2.9 |
| | ბრუნვა | 2.2 | 1.6 | 2.8 | 4.7 | 6.3 | 8.1 | 6.0 | 8.4 | 7.1 | 8.3 | 9.8 |
| რუსეთი | ექსპ | 115,848.9 | 114,429.4 | 151,697.5 | 333,908.3 | 392,044.0 | 520,003.7 | 341,583.6 | 594,193.2 | 330,136.5 | 411,264.1 | 509,550.8 |
| | იმპორტ | 102,420.0 | 62,417.3 | 102,759.7 | 207,914.4 | 279,983.4 | 366,597.1 | 250,604.9 | 447,048.9 | 263,794.8 | 326,912.7 | 344,262.7 |
| | სალდო | 13.4 | 52.0 | 48.9 | 126.0 | 112.1 | 153.4 | 91.0 | 147.1 | 66.3 | 84.4 | 165.3 |
| | ბრუნვა | 218.3 | 176.8 | 254.5 | 541.8 | 672.0 | 886.6 | 592.2 | 1,041.2 | 593.9 | 738.2 | 853.8 |
| სომხეთი | ექსპ | 351.3 | 446.8 | 902.5 | 1,491.3 | 1,766.3 | 1,754.8 | 1,338.2 | 2,927.4 | 3,495.8 | 4,303.1 | 4,664.0 |
| | იმპორტ | 913.1 | 966.2 | 1,404.5 | 2,505.9 | 3,604.3 | 4,741.3 | 3,719.0 | 5,139.8 | 4,510.6 | 5,706.2 | 6,575.9 |
| | სალდო | -0.6 | -0.5 | -0.5 | -1.0 | -1.8 | -3.0 | -2.4 | -2.2 | -1.0 | -1.4 | -1.9 |
| | ბრუნვა | 1.3 | 1.4 | 2.3 | 4.0 | 5.4 | 6.5 | 5.1 | 8.1 | 8.0 | 10.0 | 11.2 |
| ტაჯიკეთი | ექსპ | 807.7 | 746.5 | 994.3 | 1,645.9 | 1,705.7 | 1,755.6 | 1,218.5 | 1,318.8 | 899.3 | 1,125.3 | 1,344.3 |
| | იმპორტ | 885.9 | 762.4 | 1,146.9 | 2,349.0 | 3,707.2 | 4,153.1 | 3,062.7 | 5,030.1 | 2,922.8 | 2,929.1 | 3,329.1 |
| | სალდო | -0.1 | 0.0 | -0.2 | -0.7 | -2.0 | -2.4 | -1.8 | -3.7 | -2.0 | -1.8 | -2.0 |
| | ბრუნვა | 1.7 | 1.5 | 2.1 | 4.0 | 5.4 | 5.9 | 4.3 | 6.3 | 3.8 | 4.1 | 4.7 |
| უზბეკეთი | ექსპ | 0.0 | 3,393.7 | 3,875.2 | 6,328.1 | 8,851.1 | 12,165.1 | 11,677.6 | 14,164.9 | 12,166.5 | 12,897.5 | 14,700.1 |
| | იმპორტ | 0.0 | 2,668.3 | 3,265.5 | 5,365.2 | 7,751.7 | 11,400.0 | 11,457.9 | 16,833.4 | 12,161.4 | 14,126.1 | 19,561.9 |
| | სალდო | 0.0 | 0.7 | 0.6 | 1.0 | 1.1 | 0.8 | 0.2 | -2.7 | 0.0 | -1.2 | -4.9 |
| | ბრუნვა | 0.0 | 6.1 | 7.1 | 11.7 | 16.6 | 23.6 | 23.1 | 31.0 | 24.3 | 27.0 | 34.3 |
| უკრაინა | ექსპ | 22,695.8 | 19,521.2 | 27,388.6 | 47,525.5 | 60,544.0 | 79,896.5 | 51,428.1 | 83,884.2 | 46,023.2 | 53,867.4 | 59,149.3 |
| | იმპორტ | 24,182.4 | 17,948.3 | 26,431.3 | 50,931.1 | 68,937.6 | 94,431.0 | 53,817.4 | 99,092.0 | 52,487.2 | 62,494.0 | 70,399.2 |
| | სალდო | -1.5 | 1.6 | 1.0 | -3.4 | -8.4 | -14.5 | -2.4 | -15.2 | -6.5 | -8.6 | -11.2 |
| | ბრუნვა | 46.9 | 37.5 | 53.8 | 98.5 | 129.5 | 174.3 | 105.2 | 183.0 | 98.5 | 116.4 | 129.5 |
| ყაზახეთი | ექსპ | 7,940.7 | 10,353.7 | 14,928.8 | 41,292.0 | 51,704.4 | 76,257.1 | 48,243.3 | 91,747.5 | 43,714.8 | 55,964.4 | 62,964.4 |
| | იმპორტ | 8,872.7 | 8,980.9 | 13,272.8 | 32,788.9 | 44,926.9 | 49,571.5 | 39,121.5 | 61,596.8 | 39,080.0 | 42,780.3 | 45,236.1 |
| | სალდო | -0.9 | 1.4 | 1.7 | 8.5 | 6.8 | 26.7 | 9.1 | 30.2 | 4.6 | 13.2 | 17.7 |
| | ბრუნვა | 16.8 | 19.3 | 28.2 | 74.1 | 96.6 | 125.8 | 87.4 | 153.3 | 82.8 | 98.7 | 108.2 |
| ყირგიზეთი | ექსპ | 489.5 | 573.2 | 742.3 | 1,182.4 | 2,012.1 | 2,752.4 | 2,565.4 | 2,933.0 | 2,440.8 | 2,638.5 | 2,649.0 |
| | იმპორტ | 703.6 | 651.7 | 868.4 | 2,239.8 | 3,199.7 | 4,757.4 | 3,690.2 | 6,292.8 | 4,769.0 | 5,112.0 | 5,534.6 |
| | სალდო | -0.2 | -0.1 | -0.1 | -1.1 | -1.2 | -2.0 | -1.1 | -3.4 | -2.3 | -2.5 | -2.9 |
| | ბრუნვა | 1.2 | 1.2 | 1.6 | 3.4 | 5.2 | 7.5 | 6.3 | 9.2 | 7.2 | 7.8 | 8.2 |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD 02.07.2019*

ცხრილი 6-ს მონაცემებიდან ირკვევა, რომ დსთ-ს ქვეყნებში, ვაჭრობის ბრუნვის მოცულობით, წამყვანი ადგილი უჭირავს რუსეთს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს. ამ ქვეყნების რიგი ეკონომიკური მაჩვენებლებიც გაცილებით მაღალია ვიდრე თანამეგობრობის სხვა ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლები.

ამჯერად გავაანალიზოთ საგარეო ვაჭრობის ჯამური მაჩვენებლები (ცხრილი 7).

*ცხრილი 7. დსთ - ს ზოგიერთი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ჯამური მაჩვენებლები, 1995-2018 წწ. (მლრდ. აშშ დოლარი).*

| ქვეყნები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | ექსპ | 373.8 | სომხეთი | ექსპ | 42.5 | ყირგიზეთი | ექსპ | 40.5 |
| | იმპორტ | 227.9 | | იმპორტ | 73.6 | | იმპორტ | 72.4 |
| | სალდო | 145.8 | | სალდო | -31.1 | | სალდო | -31.9 |
| | ბრუნვა | 601.7 | | ბრუნვა | 116.2 | | ბრუნვა | 113.0 |
| ბელორუსი | ექსპ | 579.8 | ტაჯიკეთი | ექსპ | 25.0 | | | |
| | იმპორტ | 608.3 | | იმპორტ | 58.4 | | | |
| | სალდო | -28.5 | | სალდო | -33.4 | | | |
| | ბრუნვა | 1188.1 | | ბრუნვა | 83.4 | | | |
| თურქმენეთი | ექსპ | 173.4 | უზბეკეთი | ექსპ | 196.3 | | | |
| | იმპორტ | 171.9 | | იმპორტ | 199.5 | | | |
| | სალდო | 1.5 | | სალდო | -3.2 | | | |
| | ბრუნვა | 345.3 | | ბრუნვა | 395.8 | | | |
| მოლდოვა | ექსპ | 43.5 | უკრაინა | ექსპ | 1086.9 | | | |
| | იმპორტ | 80.8 | | იმპორტ | 1191.7 | | | |
| | სალდო | -37.3 | | სალდო | -104.8 | | | |
| | ბრუნვა | 124.3 | | ბრუნვა | 2278.7 | | | |
| რუსეთი | ექსპ | 7455.1 | ყაზახეთი | ექსპ | 995.0 | | | |
| | იმპორტ | 5410.6 | | იმპორტ | 744.0 | | | |
| | სალდო | 2044.4 | | სალდო | 251.0 | | | |
| | ბრუნვა | 12865.7 | | ბრუნვა | 1739.0 | | | |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD 02.07.2019.*

დასკვნა :

1995-2018 წწ. აშკარაა დსთ-ს ქვეყნებს შორის რუსეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის დომინირება. ამ ქვეყნების ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებელთა მოცულობა რიგ შემთხვევებში მრავალჯერ აღემატება სხვა ქვეყნების შესაბამის ინდიკატორებს.

დაბოლოს, გავაანალიზოთ თუ როგორია დსთ-ს წევრი და ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში. (ცხრილი 8 და 9 ).

ცხრილი 8. დსთ-ს წევრი და ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნის საქონლისა და მომსახურების იმპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში.

| ქვეყანა | *1995* | *2000* | *2003* | *2006* | *2007* | *2008* | *2009* | *2012* | *2016* | *2017* | *2018* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 53.4 | 38.4 | 65.5 | 38.8 | 28.5 | 23.5 | 23.1 | 25.3 | 43.6 | 41.9 | 37.7 |
| ბელორუსი | 54.1 | 72.4 | 69.0 | 64.2 | 67.2 | 68.7 | 59.8 | 74.3 | 62.7 | 66.6 | 69.1 |
| თურქმენეთი | 84.2 | 48.3 | 30.6 | 17.3 | 19.5 | 37.3 | 57.9 | 50.5 | 39.9 | 31.1 | 12.5 |
| მოლდოვა | 67.9 | 76.6 | 86.7 | 91.9 | 97.1 | 93.6 | 73.5 | 65.2 | 55.3 | 54.5 | 56.3 |
| რუსეთიი | 25.9 | 24.0 | 23.9 | 21.0 | 21.5 | 22.1 | 20.5 | 20.2 | 20.6 | 20.7 | 20.8 |
| სომხეთი | 62.2 | 50.5 | 50.0 | 39.3 | 39.2 | 40.7 | 43.0 | 48.4 | 42.8 | 49.5 | 52.9 |
| ტაჯიკეთი | 71.9 | 88.6 | 73.7 | 83.0 | 99.7 | 80.5 | 61.5 | 65.9 | 42.0 | 40.9 | 41.0 |
| უზბეკეთი | 18.8 | 19.4 | 32.2 | 31.0 | 34.7 | 38.6 | 34.0 | 32.5 | 14.9 | 23.9 | 38.7 |
| უკრაინა | 50.2 | 57.4 | 52.8 | 47.3 | 48.4 | 52.5 | 46.0 | 56.4 | 56.2 | 55.7 | 53.8 |
| ყაზახეთი | 43.5 | 49.1 | 43.0 | 40.5 | 42.8 | 37.1 | 33.9 | 29.6 | 28.5 | 26.3 | 26.8 |
| ყირგიზეთი | 42.4 | 47.6 | 45.3 | 79.0 | 84.1 | 92.6 | 78.7 | 95.3 | 70.0 | 66.4 | 68.4 |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD 02.07.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- მთლიან სამამულო პროდუქტში საქონლისა და მომსახურების იმპორტის წილის (%) მიხედვით ლიდერი ქვეყნებია ბელორუსი (69.1 %) და ყირგიზეთი (68.4 %);
- პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე ფიქსირდება თურქმენეთში (12.5 %).

*ცხრილი 9. დსთ-ს წევრი და ზოგიერთი სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში.*

| ქვეყანა | *1995* | *2000* | *2003* | *2006* | *2007* | *2008* | *2009* | *2012* | *2016* | *2017* | *2018* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 32.5 | 40.2 | 42.0 | 66.5 | 68.1 | 65.8 | 51.6 | 53.0 | 46.4 | 48.5 | 54.3 |
| ბელორუსი | 49.7 | 69.2 | 65.2 | 60.1 | 60.9 | 60.9 | 48.9 | 78.8 | 62.5 | 66.8 | 70.2 |
| თურქმენეთი | 84.0 | 55.2 | 32.6 | 35.1 | 36.8 | 57.4 | 47.1 | 58.8 | 22.1 | 22.5 | 22.7 |
| მოლდოვა | 60.1 | 49.6 | 53.3 | 45.3 | 45.6 | 40.8 | 36.9 | 31.1 | 32.3 | 31.1 | 30.4 |
| რუსეთი | 29.3 | 44.1 | 35.2 | 33.7 | 30.2 | 31.3 | 27.9 | 26.9 | 25.7 | 26.1 | 30.7 |
| სომხეთი | 23.9 | 23.4 | 32.2 | 23.4 | 19.2 | 15.0 | 15.5 | 27.6 | 33.1 | 37.3 | 37.5 |
| ტაჯიკეთი | 65.6 | 86.8 | 63.9 | 58.2 | 45.9 | 34.0 | 24.5 | 17.3 | 12.9 | 15.7 | 16.0 |
| უზბეკეთი | 24.7 | 24.7 | 38.2 | 36.5 | 39.7 | 41.2 | 34.7 | 27.3 | 14.9 | 21.8 | 29.1 |
| უკრაინა | 47.1 | 62.4 | 54.7 | 44.1 | 42.5 | 44.4 | 43.9 | 47.7 | 49.3 | 48.0 | 45.2 |
| ყაზახეთი | 39.0 | 56.6 | 48.4 | 51.0 | 49.3 | 57.1 | 41.8 | 44.1 | 31.8 | 34.4 | 35.0 |
| ყირგიზეთი | 29.5 | 41.8 | 38.7 | 41.7 | 52.9 | 53.5 | 54.7 | 44.4 | 35.8 | 34.3 | 32.7 |

*შედგენილი: https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD 02.07.2019.*

დასკვნა :

- მთლიან სამამულო პროდუქტში პოსტსაბჭოური ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილის (%) ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ბელორუსს (70.2 %) და აზერბაიჯანს (54.3 %)
- ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აღნიშნულ კომპონენტში პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის აქვთ ტაჯიკეტსა და თურქმენეთს

## *თავი II. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები*

საქართველო, როგორც მსოფლიო ეკონომიკურ გლობალიზაციაში ჩართული ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყანა, აქტიურად ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში. საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სახელმწიფოებთან წარმატებულ ურთიერთობებზე ნათლად მიუთითებენ საქართველოში მოქმედი ვაჭრობის ძირითადი რეჟიმები :

- *უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation - MFN).* საქართველოს ვაჭრობის პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (158 ქვეყანა) ვაჭრობა ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე;
- *ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).* DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესი;
- *პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP).* პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს რიგ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან:

რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი.

დსთ-ს ქვეყნებთან ვაჭრობისას (გარდა უზბეკეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციისა) გამოიყენება დსთ-ს მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესი".

წინამდებარე თავში ჩვენი მიზანია სწორედ დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობის ზოგადი ანალიზის ჩატარება, ტენდენციების გამოვლენა და ახსნა.

## 2.1. ზოგადი ანალიზი

საერთაშორისო სტატისტიკისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია გავაანალიზოთ ქვეყნის საგარეო ვაჭრობა დსთ-ს ქვეყნებთან და გამოვავლინოთ ამ სექტორში არსებული 1995-2018 წწ. ტენდენციები. (ცხრილი 10).

*ცხრილი 10. საქართველოს ვაჭრობა დსთ-ს ქვეყნებთან (ათასი აშშ დოლარი)*

| ქვეყნები | | 1995 | 2000 | 2003 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2012 | 2013 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | ექსპრ | 13,384.4 | 20,079.6 | 16,445.1 | 88,913.5 | 137,455.0 | 203,930.3 | 165,633.8 | 626,914.0 | 709,919.2 | 152,599.3 | 272,149.9 | 502,291.8 |
| | იმპორტ | 48,601.2 | 55,917.6 | 93,729.9 | 318,903.6 | 382,367.2 | 607,396.1 | 410,124.4 | 703,803.7 | 655,871.9 | 492,476.7 | 567,034.3 | 586,194.7 |
| | სალდო | -35,216.8 | -35,837.9 | -77,284.8 | -229,990.1 | -244,912.2 | -403,465.8 | -244,490.5 | -76,889.7 | 54,047.3 | -339,877.5 | -294,884.4 | -83,902.9 |
| | ბრუნვა | 61,985.6 | 75,997.2 | 110,175.1 | 407,817.1 | 519,822.2 | 811,326.3 | 575,758.2 | 1,330,717.7 | 1,365,791.1 | 645,076.0 | 839,184.1 | 1,088,486.6 |
| ბელარუსი | ექსპრ | 2,134.1 | 649.3 | 1,989.0 | 3,258.2 | 4,738.6 | 11,167.8 | 14,100.6 | 33,832.6 | 40,506.4 | 18,251.6 | 27,545.9 | 28,461.3 |
| | იმპორტ | 1,143.0 | 882.7 | 1,945.2 | 25,675.2 | 28,872.9 | 34,645.6 | 27,116.9 | 34,205.6 | 20,352.9 | 57,953.2 | 66,941.5 | 58,641.0 |
| | სალდო | 991.1 | -233.3 | 43.8 | -22,417.0 | -24,134.3 | -23,477.8 | -13,016.2 | -373.0 | 20,153.6 | -39,701.6 | -39,395.6 | -30,179.7 |
| | ბრუნვა | 3,277.1 | 1,532.0 | 3,934.3 | 28,933.4 | 33,611.6 | 45,813.4 | 41,217.5 | 68,038.1 | 60,859.3 | 76,204.8 | 94,487.4 | 87,102.3 |
| თურქმენეთი | ექსპრ | 6,536.1 | 10,615.2 | 54,906.1 | 71,808.9 | 26,338.5 | 6,338.1 | 10,668.6 | 7,963.6 | 14,132.6 | 10,353.6 | 21,575.4 | 39,112.2 |
| | იმპორტ | 41,254.4 | 13,304.2 | 9,798.0 | 101,061.5 | 149,901.8 | 135,024.1 | 73,774.2 | 30,663.3 | 47,894.7 | 76,076.9 | 119,593.3 | 174,464.8 |
| | სალდო | -34,718.2 | -2,689.1 | 45,108.1 | -29,252.6 | -123,563.4 | -128,686.1 | -63,105.6 | -22,699.7 | -33,762.1 | -65,723.3 | -98,017.8 | -135,352.6 |
| | ბრუნვა | 47,790.5 | 23,919.4 | 64,704.1 | 172,870.5 | 176,240.3 | 141,362.2 | 84,442.8 | 38,626.8 | 62,027.3 | 86,430.5 | 141,168.7 | 213,577.0 |
| მოლდოვა | ექსპრ | 149.0 | 221.6 | 165.7 | 216.5 | 841.4 | 610.5 | 1,595.7 | 11,464.0 | 14,338.8 | 2,039.3 | 3,244.7 | 3,373.8 |
| | იმპორტ | 174.9 | 174.1 | 1,001.8 | 3,520.7 | 3,810.2 | 4,299.2 | 3,450.4 | 8,892.1 | 12,505.8 | 10,819.9 | 11,159.3 | 14,012.2 |
| | სალდო | -25.9 | 47.5 | -836.1 | -3,304.3 | -2,968.8 | -3,688.7 | -1,854.7 | 2,571.9 | 1,833.0 | -8,780.6 | -7,914.6 | -10,638.4 |
| | ბრუნვა | 323.8 | 395.6 | 1,167.5 | 3,737.2 | 4,651.6 | 4,909.7 | 5,046.1 | 20,356.2 | 26,844.6 | 12,859.2 | 14,404.0 | 17,386.1 |
| რუსეთი | ექსპრ | 48,633.9 | 67,108.9 | 83,839.8 | 75,393.3 | 45,338.5 | 29,783.4 | 21,146.2 | 46,806.0 | 190,653.4 | 206,366.4 | 396,672.0 | 437,303.5 |
| | იმპორტ | 49,323.2 | 93,225.4 | 157,890.7 | 555,371.8 | 573,879.3 | 423,312.0 | 290,811.4 | 476,828.5 | 583,939.6 | 675,630.2 | 786,866.8 | 935,694.9 |
| | სალდო | -689.2 | -26,116.6 | -74,050.9 | -479,978.6 | -528,540.8 | -393,528.6 | -269,665.3 | -430,022.5 | -393,286.2 | -469,263.8 | -390,194.7 | -498,391.4 |
| | ბრუნვა | 97,957.1 | 160,334.3 | 241,730.5 | 630,765.1 | 619,217.7 | 453,095.5 | 311,957.6 | 523,634.4 | 774,592.9 | 881,996.5 | 1,183,538.8 | 1,372,998.5 |
| სომხეთი | ექსპრ | 18,040.1 | 13,580.6 | 30,761.6 | 73,602.0 | 110,844.2 | 123,422.0 | 88,941.7 | 258,404.3 | 315,549.4 | 150,807.8 | 210,276.6 | 277,800.6 |
| | იმპორტ | 11,696.4 | 13,595.5 | 12,267.8 | 40,337.8 | 59,557.5 | 72,078.0 | 41,332.0 | 70,763.9 | 182,316.7 | 216,816.9 | 281,322.0 | 335,271.6 |
| | სალდო | 6,343.7 | -14.8 | 18,493.8 | 33,264.2 | 51,286.7 | 51,344.0 | 47,609.7 | 187,640.3 | 133,232.7 | -66,009.1 | -71,045.4 | -57,471.0 |
| | ბრუნვა | 29,736.5 | 27,176.1 | 43,029.4 | 113,939.8 | 170,401.7 | 195,499.9 | 130,273.6 | 329,168.2 | 497,866.1 | 367,624.7 | 491,598.6 | 613,072.2 |
| ტაჯიკეთი | ექსპრ | 251.5 | 112.8 | 553.6 | 2,585.8 | 4,263.8 | 1,821.9 | 1,331.1 | 4,838.1 | 7,933.2 | 5,870.2 | 3,380.5 | 6,575.7 |
| | იმპორტ | 4.7 | 18.3 | 26.9 | 90.7 | 30.5 | 297.5 | 214.7 | 33.0 | 22.9 | 5.0 | 3.0 | 3.0 |
| | სალდო | 246.8 | 94.5 | 526.7 | 2,495.0 | 4,233.3 | 1,524.4 | 1,116.3 | 4,805.1 | 7,910.3 | 5,865.2 | 3,377.5 | 6,572.7 |
| | ბრუნვა | 256.3 | 131.2 | 580.4 | 2,676.5 | 4,294.3 | 2,119.4 | 1,545.8 | 4,871.1 | 7,956.1 | 5,875.3 | 3,383.5 | 6,578.7 |
| უზბეკეთი | ექსპრ | 800.9 | 660.3 | 1,136.9 | 2,548.6 | 2,735.6 | 5,859.2 | 5,806.3 | 16,200.8 | 22,708.4 | 71,303.2 | 64,154.5 | 80,487.7 |
| | იმპორტ | 715.5 | 6,934.0 | 1,019.3 | 6,291.8 | 11,056.4 | 7,335.2 | 3,513.6 | 12,147.7 | 15,474.1 | 9,261.2 | 6,985.5 | 9,073.7 |
| | სალდო | 85.3 | -6,273.7 | 117.7 | -3,743.2 | -8,320.8 | -1,476.0 | 2,292.7 | 4,053.1 | 7,234.3 | 62,042.0 | 57,169.0 | 71,413.9 |
| | ბრუნვა | 1,516.4 | 7,594.2 | 2,156.2 | 8,840.4 | 13,791.9 | 13,194.5 | 9,319.8 | 28,348.5 | 38,182.5 | 80,564.4 | 71,140.0 | 89,561.4 |
| უკრაინა | ექსპრ | 5,773.9 | 10,974.9 | 30,088.1 | 56,837.5 | 94,169.3 | 134,173.8 | 83,955.0 | 167,020.3 | 192,808.7 | 73,236.6 | 124,536.2 | 175,043.1 |
| | იმპორტ | 8,017.8 | 35,372.1 | 80,249.4 | 320,093.0 | 574,906.0 | 657,719.8 | 411,800.7 | 587,879.2 | 601,495.7 | 417,857.4 | 446,035.6 | 515,603.7 |
| | სალდო | -2,244.0 | -24,397.2 | -50,161.3 | -263,255.5 | -480,736.8 | -523,546.0 | -327,845.6 | -420,858.9 | -408,686.9 | -344,620.8 | -321,499.4 | -340,560.6 |
| | ბრუნვა | 13,791.7 | 46,347.0 | 110,337.5 | 376,930.5 | 669,075.3 | 791,893.6 | 495,755.7 | 754,899.5 | 794,304.4 | 491,094.0 | 570,571.8 | 690,646.8 |
| ყაზახეთი | ექსპრ | 1,778.1 | 4,030.9 | 4,330.0 | 15,426.2 | 34,291.5 | 22,040.3 | 20,455.3 | 62,235.6 | 103,598.0 | 39,818.5 | 51,775.2 | 90,802.7 |
| | იმპორტ | 168.9 | 9,735.0 | 9,755.9 | 25,384.1 | 63,819.1 | 54,754.9 | 23,258.9 | 132,411.8 | 55,638.5 | 22,297.5 | 29,805.1 | 58,693.5 |
| | სალდო | 1,609.2 | -5,704.0 | -5,426.0 | -9,957.9 | -29,527.6 | -32,714.6 | -2,803.6 | -70,176.2 | 47,959.5 | 17,520.9 | 21,970.2 | 32,109.1 |
| | ბრუნვა | 1,947.0 | 13,765.9 | 14,085.9 | 40,810.2 | 98,110.6 | 76,795.1 | 43,714.2 | 194,647.4 | 159,236.5 | 62,116.0 | 81,580.3 | 149,496.2 |
| ყირგიზეთი | ექსპრ | 506.3 | 43.1 | 521.6 | 487.1 | 879.3 | 1,737.6 | 2,528.0 | 8,896.6 | 8,947.5 | 7,322.9 | 9,447.0 | 28,228.8 |
| | იმპორტ | 0.0 | 274.9 | 293.0 | 1,858.6 | 1,167.8 | 1,166.2 | 1,065.0 | 2,477.6 | 2,073.7 | 2,200.2 | 2,028.1 | 2,408.4 |
| | სალდო | 506.3 | -231.8 | 228.6 | -1,371.4 | -288.5 | 571.4 | 1,463.0 | 6,419.1 | 6,873.8 | 5,122.7 | 7,418.9 | 25,820.3 |
| | ბრუნვა | 506.3 | 318.0 | 814.6 | 2,345.7 | 2,047.1 | 2,903.8 | 3,593.0 | 11,374.2 | 11,021.2 | 9,523.1 | 11,475.1 | 30,637.2 |

*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 01.06.2019.*

დასკვნა:

- საკვლევ პერიოდში სწაფად გაიზარდა საქართველოს ვაჭრობის მოცულობა დსთ-ს პრაქტიკულად ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით - აზერბაიჯანთან და რუსეთთან;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა უარყოფით ვაჭრობის სალდო აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან, ბელორუსთან,  უკრაინასთან, ყაზახეთთან ...;
- საქართველოს დადებითი ვაჭრობის სალდო აქვს ყაზახეთთან, უზბეკეთთან, ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთან.

## 2.2. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ჯამური მაჩვენებლები, 1995-2018 წწ.

1995-2018 წლებში ჯამურად საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებლები გაანგარიშებულია ცხრილში 11.

*ცხრილი 11. დსთ-ს საგარეო ვაჭრობის ჯამური ინდიკატორები*

*(ათასი აშშ დოლარი)*

| ქვეყნები | | | ქვეყნები | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | ექსპრ | 4,610,333.0 | ტაჯიკეთი | ექსპრ | 69,373.7 |
| | იმპორტ | 8,104,090.5 | | იმპორტ | 3,366.0 |
| | სალდო | - 3,493,757.5 | | სალდო | 66,007.7 |
| | ბრუნვა | 12,714,423.4 | | ბრუნვა | 72,739.7 |
| ბელარუსი | ექსპრ | 307,039.8 | უზბეკეთი | ექსპრ | 466,424.4 |
| | იმპორტ | 487,394.4 | | იმპორტ | 158,772.1 |
| | სალდო | - 180,354.5 | | სალდო | 307,652.4 |
| | ბრუნვა | 794,434.2 | | ბრუნვა | 625,196.5 |
| თურქმენეთი | ექსპრ | 616,915.2 | უკრაინა | ექსპრ | 466,424.4 |
| | იმპორტ | 1,484,466.2 | | იმპორტ | 7,530,095.4 |
| | სალდო | - 867,551.0 | | სალდო | -7,063,671.0 |
| | ბრუნვა | 2,101,381.4 | | ბრუნვა | 7,996,519.9 |
| მოლდოვა | ექსპრ | 68,601.6 | ყაზახეთი | ექსპრ | 826,038.3 |
| | იმპორტ | 115,911.3 | | იმპორტ | 762,789.4 |
| | სალდო | - 47,309.7 | | სალდო | 63,248.9 |
| | ბრუნვა | 184,512.9 | | ბრუნვა | 1,588,827.8 |
| რუსეთი | ექსპრ | 2,779,931.8 | ყირგიზეთი | ექსპრ | 98,955.7 |
| | იმპორტ | 8,812,790.0 | | იმპორტ | 27,565.4 |
| | სალდო | - 6,032,858.3 | | სალდო | 71,390.3 |
| | ბრუნვა | 11,592,721.8 | | ბრუნვა | 126,521.2 |
| სომხეთი | ექსპრ | 2,729,952.7 | | | |
| | იმპორტ | 1,973,695.3 | | | |
| | სალდო | 756,257.4 | | | |
| | ბრუნვა | 4,703,648.0 | | | |

*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo  01.06.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველომ სწრაფი ნაბიჯები უნდა გადადგას ექსპორტის ზრდის მიმართულებით, რიგ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, რუსეთი, მოლდოვა, ბელორუსი, თურქმენეთი) ვაჭრობის უარყოფითი სალდოს შესამცირებლად და ამით გაზარდოს საკუთარი ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებლები, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკის ორნიშნა ზრდის ტემპით და რეალური სექტორის მნიშვნელოვანი პროგრესით.

## 2.3. საქართველოს საქონელთა ექსპორტ-იმპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში

მთლიან სამამულო პროდუქტში საქართველოს საქონელთა ექსპორტ-იმპორტის წილის (%) დინამიკა 1995 – 2018 წწ. ნაჩვენებია ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილებში 12 და 13.

*ცხრილი 12. საქართველოს საქონელთა ექსპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში*

| *1995* | *1996* | *1997* | *1998* | *1999* | *2000* | *2001* | *2002* | *2003* | *2004* | *2005* | *2006* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31.8 | 27.0 | 24.5 | 21.7 | 34.5 | 45.7 | 42.2 | 43.5 | 40.5 | 35.1 | 34.8 | 25.5 |
| *2007* | *2008* | *2009* | *2010* | *2011* | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* |
| 23.6 | 23.7 | 25.3 | 32.0 | 30.9 | 29.5 | 36.3 | 33.3 | 30.2 | 29.0 | 34.4 | 36.8 |

*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.05.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- მთლიან სამამულო პროდუქტში საქართველოს საქონელთა ექსპორტის ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა 2000 წელს (45.7 %) ხოლო ყველაზე დაბალი - 2007 წელს (23.6 %);

*ცხრილი 13. საქართველოს საქონელთა იმპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში*

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
| 16.3 | 24.5 | 28.4 | 24.5 | 24.5 | 23.2 | 23.3 | 23.4 | 28.5 | 36 | 38.8 | 47.3 |
| 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
| 51.2 | 49.2 | 41.6 | 45 | 49 | 50.8 | 49.7 | 52.1 | 52.2 | 50.7 | 52.6 | 56.3 |

*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.05.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- მთლიან სამამულო პროდუქტში საქართველოს საქონელთა ექსპორტის ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა 2000 წელს (45.7 %) ხოლო ყველაზე დაბალი - 2007 წელს (23.6 %);

## 2.4. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი დსთ-ს ქვეყნებში უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2012-2018 წწ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ შედგენილია ცხრილი 14 და 15, სადაც ნაჩვენებია უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები, რომლითაც საქართველო ვაჭრობს დსთ - ს ბაზარზე.

*ცხრილი 14. პროდუქციის ექსპორტი (top 3), (ათასი აშშ დოლარი) 2014-2018 წწ.*

| საქონლის დასახელება | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აზერბაიჯანი, სულ** | **626,914.0** | **709,919.2** | **544,448.0** | **240,953.4** | **152,374.8** | **272,149.9** | **502,291.8** |
| მსუბუქი ავტომობილები | 345,615.7 | 401,066.3 | 267,957.9 | 63,567.3 | 48,956.6 | 88,014.6 | 189,722.5 |
| სიგარები და სიგარეტები თამბაქოს | - | - | - | 43.5 | 1,162.9 | 24,486.5 | 99,130.5 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 22,541.9 | 19,083.5 | 27,818.2 | 26,346.6 | 18,877.6 | 22,310.3 | 32,817.9 |
| **ბელარუსი, სულ** | **33,832.6** | **40,506.4** | **34,810.5** | **20,466.4** | **18,251.6** | **27,545.9** | **28,461.3** |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 4,718.7 | 10,501.3 | 9,420.4 | 5,460.4 | 5,207.2 | 7,338.5 | 9,337.6 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 76.9 | 373.8 | 886.3 | 571.2 | 1,994.9 | 9,043.1 | 6,861.0 |
| ეთილის სპირტი არადენატურირებული | 6,078.7 | 4,308.5 | 4,696.2 | 3,793.6 | 3,244.7 | 4,930.9 | 5,249.7 |
| **თურქმენეთი, სულ** | **7,963.6** | **14,132.6** | **14,334.0** | **16,052.4** | **10,353.6** | **21,575.4** | **39,112.2** |
| სამშენებლო ასაწყობი კონსტრუქციები | - | - | - | - | - | - | 6,452.5 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 913.2 | 1,198.5 | 777.7 | 3,317.1 | 1,817.8 | 6,441.4 | 4,378.8 |
| მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან | - | - | - | - | - | 566.7 | 2,978.7 |
| **მოლდოვა, სულ** | **11,464.0** | **14,338.8** | **4,653.4** | **6,534.3** | **2,039.3** | **3,244.7** | **3,373.8** |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 159.3 | 431.0 | 931.4 | 1,764.3 | 987.2 | 2,204.5 | 1,414.7 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 500.9 | 449.9 | 107.9 | 479.6 | 399.6 | 511.8 | 519.5 |
| ბოსტნეული სხვა, ახალი ან შეყინული | 56.5 | 108.6 | 60.7 | 168.7 | 109.5 | 52.9 | 294.5 |
| **რუსეთი, სულ** | **46,806.0** | **190,653.4** | **274,754.0** | **162,885.6** | **206,044.0** | **396,672.0** | **437,303.5** |
| ფეროშენადნობები | 4,705.6 | 13,152.3 | 16,885.5 | 22,644.6 | 39,435.1 | 128,416.4 | 128,440.5 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 22.9 | 56,845.6 | 111,416.8 | 43,343.9 | 55,801.3 | 98,926.9 | 114,541.4 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 101.6 | 33,751.6 | 66,381.3 | 33,027.3 | 35,300.9 | 45,597.9 | 50,191.5 |
| **სომხეთი, სულ** | **258,404.3** | **315,549.4** | **288,093.3** | **180,154.2** | **150,815.4** | **210,276.6** | **277,800.6** |
| მსუბუქი ავტომობილები | 101,053.8 | 120,597.5 | 129,324.7 | 41,739.6 | 31,556.8 | 49,434.6 | 98,559.4 |
| სატვირთო ავტომობილები | 8,704.2 | 8,554.2 | 8,525.2 | 5,811.2 | 4,397.0 | 8,439.3 | 15,418.0 |
| თხილი და სხვა კაკალი | 217.3 | 406.9 | 390.7 | 179.2 | 49.8 | 4,723.6 | 14,415.5 |
| **ტაჯიკეთი, სულ** | **4,838.1** | **7,933.2** | **10,769.5** | **4,430.6** | **5,870.4** | **3,380.5** | **6,575.7** |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 2,365.8 | 1,252.8 | 1,745.7 | 992.5 | 613.0 | 1,337.5 | 2,650.6 |
| მსუბუქი ავტომობილები | 395.6 | 3,215.9 | 5,663.7 | 1,564.4 | 12.4 | 148.5 | 1,415.9 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 387.0 | 671.8 | 854.5 | 710.8 | 536.5 | 507.5 | 523.9 |
| **უზბეკეთი, სულ** | **16,200.8** | **22,708.4** | **54,826.2** | **97,956.2** | **71,303.2** | **64,154.5** | **80,487.7** |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 13,127.3 | 17,028.7 | 43,126.5 | 89,541.5 | 60,956.8 | 52,675.0 | 52,406.1 |
| სიგარები და სიგარეტები თამბაქოს | - | - | - | - | 309.2 | - | 8,390.7 |
| მადნები და კონცენტრატები მანგანუმის | - | 92.7 | 704.9 | 938.3 | 1,557.6 | 934.6 | 4,038.1 |
| **უკრაინა, სულ** | **167,020.3** | **192,808.7** | **140,003.7** | **59,873.6** | **73,324.6** | **124,536.2** | **175,043.1** |
| მსუბუქი ავტომობილები | 5,371.3 | 2,524.0 | 1,469.3 | 2,447.6 | 7,513.3 | 32,075.7 | 49,907.4 |
| ეთილის სპირტი არადენატურირებული | 35,844.0 | 33,268.9 | 23,727.7 | 10,660.7 | 17,402.0 | 20,287.0 | 32,578.1 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 27,373.8 | 30,467.4 | 20,412.0 | 7,876.2 | 12,405.1 | 17,825.0 | 21,581.2 |
| **ყაზახეთი, სულ** | **62,235.6** | **103,598.0** | **88,589.5** | **44,963.0** | **39,822.6** | **51,775.2** | **90,802.7** |
| სიგარები და სიგარეტები თამბაქოს | - | - | - | - | 768.7 | 1,745.5 | 10,138.9 | 32,495.9 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 10,013.6 | 15,204.5 | 12,709.3 | 10,495.8 | 6,318.3 | 6,096.3 | 9,664.9 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 12,095.2 | 13,966.8 | 16,485.2 | 14,442.1 | 8,140.5 | 7,763.5 | 8,886.9 |
| **ყირგიზეთი, სულ** | **8,896.6** | **8,947.5** | **10,016.7** | **6,666.9** | **7,322.9** | **9,447.0** | **28,228.8** |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 2,486.9 | 2,443.6 | 2,622.8 | 2,720.0 | 3,319.7 | 4,251.1 | 12,448.9 |
| მსუბუქი ავტომობილები | 1,792.9 | 2,446.0 | 2,763.4 | 435.8 | 324.7 | 463.9 | 10,564.9 |
| ეთილის სპირტი არადენატურირებული | 2,747.5 | 2,023.6 | 2,436.7 | 1,481.5 | 1,490.7 | 1,579.4 | 1,875.8 |

*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 01.06.2019.*

*ცხრილი 15. პროდუქციის იმპორტი (top 3), (ათასი აშშ დოლარი), 2012-2018 წწ.*

| საქონლის დასახელება | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აზერბაიჯანი, სულ** | **703,803.7** | **655,871.9** | **638,066.4** | **538,789.4** | **492,474.2** | **567,034.3** | **586,194.7** |
| ნავთობის აირები | 246,884.0 | 260,709.1 | 287,338.0 | 309,202.7 | 278,986.4 | 275,217.5 | 266,853.6 |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 335,527.8 | 275,691.8 | 240,840.6 | 138,145.7 | 104,791.3 | 112,524.5 | 109,971.4 |
| ელექტროენერგია | 5,369.3 | 1,531.4 | 9,737.0 | 7,319.6 | 5,771.6 | 47,115.3 | 63,446.5 |
| **ბელარუსი, სულ** | **34,205.6** | **20,352.9** | **20,698.1** | **20,752.0** | **57,956.2** | **66,941.5** | **58,641.0** |
| სიგარები და სიგარეტები თამბაქოს | 274.7 | 247.8 | 387.1 | 312.8 | 3,373.0 | 249.5 | 5,766.6 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 1,770.5 | 2,674.5 | 4,383.0 | 2,432.8 | 2,079.5 | 2,681.0 | 2,854.4 |
| რძე და ნაღები, შესქელებული ან შაქრის დამატებით | 508.6 | 786.6 | 999.9 | 1,323.0 | 1,297.8 | 3,862.9 | 2,538.0 |
| **თურქმენეთი, სულ** | **30,663.3** | **47,894.7** | **69,339.1** | **111,629.6** | **75,865.5** | **119,593.3** | **174,464.8** |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 28,213.6 | 44,582.0 | 65,975.3 | 73,852.0 | 71,604.3 | 94,523.4 | 151,005.4 |
| სატვირთო ავტომობილები | - | - | 313.8 | 447.3 | 1,479.3 | 11,741.3 | 10,507.2 |
| ბულდოზერები, ავტოგრეიდერებ | - | - | - | - | - | 72.5 | 5,623.8 |
| **მოლდოვა, სულ** | **8,892.1** | **12,505.8** | **13,681.0** | **10,232.6** | **10,819.9** | **11,159.3** | **14,012.2** |
| ეთილის სპირტი არადენატურირებული | - | 701.9 | 903.0 | - | 1,975.3 | 1,423.0 | 5,090.5 |
| ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები | 3,308.6 | 4,145.7 | 4,237.6 | 1,554.9 | 1,702.2 | 2,723.7 | 2,568.1 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 1,316.7 | 1,874.3 | 3,218.1 | 3,439.1 | 1,923.0 | 2,798.0 | 2,269.3 |
| ცოცხები და ჯაგრისები | - | - | 34.2 | 460.9 | 704.3 | 755.9 | 941.6 |
| **რუსეთი, სულ** | **476,828.5** | **583,939.6** | **575,570.3** | **625,065.6** | **675,627.7** | **786,866.8** | **935,694.9** |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 67,006.2 | 113,939.3 | 47,686.5 | 69,354.7 | 102,382.5 | 134,682.1 | 198,655.9 |
| ხორბალი და მესლინი | 109,616.2 | 139,156.9 | 131,503.1 | 114,568.3 | 85,919.7 | 97,723.2 | 95,776.0 |
| კოქსი ქვანახშირის, ნახშირი რეტორტის | - | - | - | 3,237.3 | 7,659.7 | 15,178.5 | 38,900.8 |
| **სომხეთი, სულ** | **70,763.9** | **182,316.7** | **210,137.0** | **175,055.0** | **216,814.8** | **281,322.0** | **335,271.6** |
| მადნები და კონცენტრატები სპილენძის | - | 100,001.9 | 132,260.2 | 94,660.3 | 170,605.0 | 226,595.8 | 278,987.8 |
| ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები | 9,642.8 | 16,370.0 | 12,901.3 | 5,840.2 | 5,328.3 | 7,721.7 | 10,333.9 |
| მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონებისა | - | 137.2 | - | 1,428.6 | - | 455.4 | 5,235.8 |
| **ტაჯიკეთი, სულ** | **33.0** | **22.9** | **25.5** | **11.4** | **5.0** | **3.0** | **3.0** |
| ელექტრული წყალგამახურებლები | 0.0 | - | 23.0 | - | - | - | - |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | - | - | 1.2 | - | 5.0 | 3.0 | 3.0 |
| ცხოველების ნაწლავები | - | - | - | 8.2 | - | - | - |
| **უზბეკეთი, სულ** | **12,147.7** | **15,474.1** | **13,446.3** | **7,015.7** | **9,268.3** | **6,985.5** | **9,073.7** |
| პარკოსანი ბოსტნეული გამხმარი | 1,447.0 | 3,387.9 | 3,794.3 | 2,576.4 | 3,211.1 | 872.9 | 1,928.4 |
| მავთული სპილენძისა | 1,078.9 | 338.1 | 600.6 | 273.2 | 1,072.6 | 1,215.6 | 1,770.5 |
| ყურძენი, ახალი ან გამხმარი | 119.2 | 49.9 | 156.2 | 448.3 | 450.0 | 1,021.0 | 1,218.7 |
| **უკრაინა, სულ** | **587,879.2** | **601,495.7** | **548,608.6** | **455,571.5** | **417,868.1** | **446,035.6** | **515,603.7** |
| სიგარები და სიგარეტები თამბაქოს | 70,292.6 | 73,975.4 | 93,001.7 | 68,539.3 | 61,031.1 | 77,399.6 | 135,557.2 |
| წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან | 37,178.8 | 43,951.6 | 51,746.4 | 42,248.3 | 32,398.3 | 33,540.6 | 46,028.5 |
| სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 11,621.6 | 9,813.4 | 8,128.7 | 7,076.6 | 9,811.6 | 11,072.4 | 15,037.3 |
| **ყაზახეთი, სულ** | **132,411.8** | **55,638.5** | **35,196.7** | **22,161.5** | **22,293.1** | **29,805.1** | **58,693.5** |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 204.7 | 2,696.3 | 3,875.8 | 3,539.9 | 10,419.3 | 20,965.6 | 24,509.5 |
| ხორბალი და მესლინი | 125,137.5 | 38,867.1 | 16,464.1 | 1,765.3 | - | 338.1 | 18,192.9 |
| ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან | 76.5 | 3,974.0 | 1,940.1 | 3,534.4 | 3,379.7 | 92.1 | 4,620.1 |
| **ყირგიზეთი, სულ** | **2,477.6** | **2,073.7** | **2,720.9** | **1,716.1** | **2,200.2** | **2,028.1** | **2,408.4** |
| პარკოსანი ბოსტნეული გამხმარი | 1,981.6 | 1,570.2 | 1,688.3 | 1,121.6 | 1,715.1 | 1,404.1 | 1,415.8 |
| ნათურები ვარვარის ელექტრული ან აირგანმუხტვის | 384.0 | 252.1 | 350.8 | 203.5 | 223.0 | 281.4 | 327.6 |
| ცხოველების ნაწლავები | - | - | - | - | - | - | 305.7 |

*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 01.06.2019.*

ზემოთშედგენილ ცხრილების მონაცემებზე დაყრდნობით, გრაფიკული ანალიზის მეშვეობით, შესაძლებელია დსთ-ს თითოეული ქვეყნის მიმართ დასკვნის გაკეთება იმის შესახებ თუ რამ განაპირობა საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციების ასეთი ცვლილებები. (დიაგრამა 5 – 12 ).

*დიაგრამა 5. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი აზერბაიჯანთან*

*(მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019.*

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარეობს დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა აზერბაიჯანთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები საგრძნობლად (ექსპორტი დაახლ. 5-ჯერ) შემცირდა. ეს გარემოება ძირითადად განაპირობა

საქართველოდან აზერბაიჯანში მიღებული რეგულაციების შედეგად - ავტომობილების რეექსპორტის შემცირებამ ;

- აზერბაიჯანიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, რაც დიდწილად განაპირობა ენერგორესურსების იმპორტმა.

*დიაგრამა 6. . საქართველოს ვაჭრობა სომხეთთან (მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo) 24.04.2019.*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტმა სომხეთთან , საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, იმპორტმა კი 2016 წელს. ამ წელს ერთ-ერთი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად (ექსპორტი დაახლ. 2-ჯერ) შემცირდა. ეს გარემოება, როგორც

აზერბაიჯანის შემთხვევაში, განაპირობა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის თითქმის 3-ჯერ შემცირებამ, რაც ნათლად ჩანს ზემოთ მოტანილი დიაგრამიდან 6;

- საქართველოს სომხეთში ექსპორტის მაჩვენებლები 2016 წლამდე აღემატება იმპორტს, რაც განპირობებულია ასევე მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ცვლილებასთან.

*დიაგრამა 7. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი მოლდოვასთან*

*(მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2018.*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტმა მოლდოვასთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები საგრძნობლად (ექსპორტი დაახლ. 6-ჯერ) შემცირდა. ეს გარემოება ძირითადად სპირტიანი სასმელების ექსპორტის კატასტროფულმა შემცირებამ. 2012 წლიდან 2016 წლამდე მისმა მაჩვენებელმა 7 მლნ-დან 95 ათასამდე შემცირდა;

- საქართველოს მოლდოვაში ექსპორტის მაჩვენებლები 2016 წლამდე აღემატება იმპორტს, რაც განაპირობა როგორც სპირტიანი, ასევე მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის შემცირებამ.

*დიაგრამა 8. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი უკრაინასთან*

*(მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019.*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა უკრაინასთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2016 წელს, ეს გამოიწვია: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის მნიშვნელოვანმა ზრდამ ამ ქვეყნიდან, ასევე შემოტანილი შაქრის განსაკუთრებულმა ზრდამ - 2 მლნ-დან 23 მლნ-მდე;

- უკრაინიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარტნიორი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე.

*დიაგრამა 9. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი რუსეთთან (მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo) 24.04.2019.*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა რუსეთთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2016 წელს, 2012 წელს ექსპორტი დაახლ. 2-ჯერ ნაკლები იყო იმპორტთან შედარებით. ეს განპირობებულია ძირითადად 2008 წლის ომის შემდგომ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებით; ცხრილი 14 - დან შესამჩნევია, თუ როგორ გაიზარდა ღვინის ექსპორტი 2012-2016 წლებში. მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტთან დაკავშირებით;

- ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებზე დაკვირვებით, რუსეთი დსთ-ს ქვეყნებიდან შეიძლება გახდეს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ბაზარი საქართველოსთვის, თუმცა ბოლო დღეებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

*დიაგრამა 10. საქართველოს ვაჭრობა ბელორუსთან*

*(მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*



*შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo) 24.04.2019.*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტმა ბელორუსთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, იმპორტმა კი - 2016 წელს. 2016 წელს ერთ-ერთი მაჩვენებელი შესამჩნევად (ექსპორტი დაახლ. 2-ჯერ) შემცირდა. ეს გარემოება ძირითადად განაპირობა საქართველოდან ფერადშენადნობთა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის კლებამ;

- საქართველო - ბელორუსის სავაჭრო ურთიერთობებში უნდა გამოიყოს 2012 წელი, როდესაც იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლები თითქმის გაუტოლდა ერთმანეთს, ამის მიზეზია სამგზავრო ძრავიანი და სატვირთო ვაგონების იმპორტის არარსებობა, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2016 წელს 22 მლნ. დოლარის ტოლია.

*დიაგრამა 11. ყაზახეთთან საქართველოს საგარეო ვაჭრობა*

*(მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo) 24.04.2019.*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა ყაზახეთთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები საგრძნობლად (იმპორტი დაახლ. 10-ჯერ) შემცირდა, რაც ძირითადად განაპირობა მაკარონის ნაწარმისა და ნაგლინის მაჩვენებლების კლებამ;

- ყაზახეთიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, გამონაკლისია 2016 წელი, როდესაც გაიზარდა თევზისა და საქონლის ხორცის ექსპორტის მაჩვენებელი.

*დიაგრამა 12. საქართველოს ექსპორტ-იმპორტი ყირგიზეთთან*

*(მიმდინარე ათასი აშშ დოლარი)*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019*

დასკვნა :

- საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა ყირგიზეთთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები შესამჩნევად შემცირდა (იმპორტი დაახლ. 1.3 -ჯერ) შემცირდა, რაც ძირითადად განაპირობა პარკოსანი ბოსტნეულისა და ელექტრული ნათურების მონაცემების ცვლილებამ;

- ყირგიზეთიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, რაც დიდწილად ამ ქვეყნის ბაზრის აუთვისებლობის შედეგია, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი (მაგრამ არასაკმარისი) შეინიშნება ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის საკითხებში.

## 2.4.1. ზოგიერთი მსხვილი ექსპორტიორი კომპანიის მახასიათებლები

საქართველოს ექსპორტმა 2018 წელს 3 354.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც დსთ - ს ქვეყნებში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება 1 669. 4 მლნ. აშშ დოლარია, რაც თითქმის ნახევარია საქართველოს მთლიანი ექსპორტისა 2018 წელს. ქვეყნის უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში წარმოდგენილია დიაგრამა 13 - ზე.

*დიაგრამა 13. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში, 2018 წ.*




*[http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo)            24.04.2019.*

დასკვნა :

- 2018 წელს საქართველოს ექსპორტში ყველაზე დიდი წილით (მთლიანი ექსპორტის 15%) სპილენძის მადნებია წარმოდგენილი;

- 2018 წლის უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღვინოს, რომელიც მთლიანი ექსპორტის 6%-ია;
- 2018 წლის ექსპორტის დიდ ნაწილს წარმოადგენს ფეროშენადნობები - 11 %;
- სპირტიან სასმელებს, მედიკამენტებსა და სიგარეტებს 2018 წლის საქართველოს ექსპორტის უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში ერთნაირი წილი - 4 % უკავიათ;
- 2018 წელს საქართველოდან ექსპორტის პროდუქციის ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მინერალურ წყლებსა და აზოტოვან სასუქებს - 3%.

კვლევის შემდეგ ეტაპზე დავინტერესდით საქართველოში არსებული უმსხვილესი ექსპორტიორი კომპანიების საქმიანობით, ფუნქციონირების ისტორიით და მათთან დასაქმებული მუშახელის რაოდენობით.

ამ მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვავლინეთ გარკვეული ტენდენციები. საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ერთი-ერთ უმსხვილეს ექსპორტიორ კომაპნიებს შემდეგი ფირმები წარმოადგენენ : შ.პ.ს „IDS Borjomi Georgia“, შ.პ.ს „Georgian Manganese“, ს.ს. „თელიანი ველი“ და ს.ს. „რუსთავის აზოტი“.

კომპანიების შერჩევის ეტაპზე, ვინაიდან მათ მიერ გატანილი პროდუქციის რაოდენობასა და ღირებულებაზე ინფორმაცია კონფედენციალურია, აქცენტი გაკეთდა : წარმოების ხანგრძლივობაზე, ისტორიაზე, ცნობადობაზე, წარმოების მასშტაბებსა და დასაქმებულთა რაოდენობაზე. ასევე დავინტერესდით თუ რამდენად მაღალი იყო მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის წილი ექსპორტირებულ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში. აღნიშნული კომპანიებია :

1) ბორჯომი საქართველო

უნიკალური მინერალური წყლის „ბორჯომის“ ისტორია თითქმის 2000 წელიწადს ითვლის. ბორჯომის ხეობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ქვისა და ხისგან გაკეთებული რამდენიმე აუზი და აბანო იქნა აღმოჩენილი. ზოგიერთი ისტორიული ჩანაწერის თანახმად, ძველ დროს მინერალურ წყალს მხოლოდ აბაზანებისთვის იყენებდნენ. თუმცა, უდიდესმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ უძველეს დროში მინერალური წყალი, თავისი უნიკალური თვისებების გამო, სასმელადაც გამოიყენებოდა.[3]

1990-1995 წლებში, შიდა ეკონომიკური სიძნელეების გამო, „ბორჯომის“ წარმოება საგრძნობლად შემცირდა. 1995 წელს შეიქმნა კომპანია Georgian Glass & Mineral Water Co. N. V., დღევანდელი IDS ბორჯომი საქართველო, რომელმაც განაახლა „ბორჯომის“ წარმოება. დღეს, ბუნების ამ ძვირფას საჩუქარს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იცნობენ.

„ბორჯომი“-ს ოფიციალურ მწარმოებელს საქართველოში კომპანია IDS Borjomi Georgia წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ მინერალური წყლების უმსხვილესი მწარმოებლის, საერთაშორისო კომპანიის - IDS Borjomi International- ის ნაწილია. კომპანია IDS Borjomi International ბიზნესის ამ დარგში ლიდერი მწარმოებელია ბალტიისპირეთისა და დსთ-ს ქვეყნებში. იგი აერთიანებს მინერალური წყლის მწარმოებელ კომპანიებს საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში. კომპანია 2002 წლიდან არსებობს და მისი პროდუქცია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ექსპორტირდება. კომპანიაში მთლიანობაში, დასაქმებულია 2000-ზე მეტი თანამშრომელი. კომპანიის მისამართია : სამცხე-ჯავახეთი, ბორჯომის რაიონი, ბორჯომი, თორის ქ. 39.

საინტერესოა, გავაანალიზოთ მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის სტატისტიკა ბოლო 9 წლის განმავლობაში.

[3] https://ka.wikipedia.org/wiki/ბორჯომი

*დიაგრამა 14. საქართველოს მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი, 2009-2018 წწ.*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019.*

დასკვნა :

- მინერალურ წყლების ექსპორტი, ბოლო 9 წლის განმავლობაში, უწყვეტად ზრდადი ტენდენციით 2009-2014 წლებში ხასიათდება;
- 2018 წელს, 91 მლნ აშშ დოლარის მონაცემით - მინერალურ წყლებს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ნუსხაში 3% იანი წილი უკავია;
- მინერალური წყლების ექსპორტმა პიკს 2014 მიაღწია, როდესაც 124 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;

- ბოლო 9 წლის განმავლობაში, მინერალური წყლების ექსპორტის მინიმუმალური ნიშნული - 20 მლნ. აშშ დოლარი - 2009 წელს დაფიქსირდა.

2) ჯეორჯიან მარგანეცი

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში (1918-1921), კერძოდ კი 1920 წლის ივნისში ჩამოყალიბდა მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო", რომელმაც ადგილობრივი სააქციო საზოგადოებები გააერთიანა. 1925 წელს „ჩემომ" შეწყვიტა არსებობა და 12 ივნისს მანგანუმის საბადოს კონცესია გადაეცა ამერიკულ ფირმა „ჰარიმანს". ჭიათურაში, მანგანუმის გარდა, ასევე მოიპოვებდნენ კვარცის ქვიშას, რომელიც საუკეთესო მასალაა შენობების ასაგებად. 1928 წლის აგვისტოში „ჭიათურმანგანუმის" ტრესტი შეიქმნა. ყოფილ საბჭოთა კავშირში მეტალურგიის დარგის სწრაფმა განვითარებამ და პროდუქციის ექსპორტის ზრდამ, ჭიათურის მანგანუმის წარმოებამ ახალი ტექნიკური საჭუალებებით აღჭურვა მოითხოვა, აშენდა კიდეც მადნის ახალი მომპოვებელი კომპლექსები.

1933 წელს მწყობრში ჩადგა ზესტაფონის ფეროშენადობთა ქარხანა, რამაც მანგანუმის მადანზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაზარდა. 1935 წელს, ჭიათურაში ბურღვა-აფეთქების სამუშაოების გაფართოების მიზნით შემოზიდეს ფირმა „სიმენსშუკერტის" ელექტრობურღები.

1993 წელს საწარმოო გაერთიანება «ჭიათურმანგანუმის» ბაზაზე, შეიქმნა ს.ს. «ჭიათურმანგანუმი», რომელიც მოიპოვებს მანგანუმის მადნის კონცენტრატს ფეროშენადნობების წარმოებისათვის. აქ დასაქმებულია 3214 თანამშრომელი. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს : მიცკევიჩის ქ. 27, თბილისი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის ექსპორტში მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი ფეროშენადნობების ექსპორტი, რასაც უშუალო კავშირი აქვს ქვეყნის მასშტაბით მოპოვებული მანგანეცის რაოდენობასთან. ფეროშენადნობების ექსპორტის დინამიკა იხ. დიაგრამაზე 15.

*დიაგრამა 15. საქართველოს ფეროშენადნობების ექსპორტი,*

*2009-2018 წწ.*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019.*

დასკვნა :

- ფეროშენადნობების ექსპორტი, ბოლო 9 წლის მანძილზე, მონაცვლეობითი ტენდენციით ხასიათდება: ზრდას მოყვება კლება და პირიქით. ბოლო ორ 2017 და 2018 წლებში ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება ისტორიულ მაქსიმუმს - შესაბამისად - 134 და 138 მლნ აშშ დოლარს აღწევს;
- 2018 წელს ფეროშენადნობებს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ნუსხაში მნიშვნელოვანი 11 % იანი წილი უკავია;
- ბოლო 9 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 13 მლნ აშშ დოლარი - 2009 წელს დაფიქსირდა.

3) თელიანი ველი

პირველი ღვინო ალბათ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დაიწურა. ზუსტად ვერავინ იტყვის, კონკრეტულად სად, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი რეგიონია ის ადგილი, სადაც ჯერ პირველი ღვინო დაიწურა, შემდეგ კი ვაზის გაკულტურება მოხდა.

ღვინის ისტორია ნეოლითის ხანაში დაიწყო და ამის დამადასტურებელი ფაქტები ყველაზე ცხადად ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდა. რამდენიმე ათეული წლის წინ, ქვემო ქართლში, თბილისის სამხრეთით, მარნეულის ველზე, დანგრეული გორას ნასახლარში არქეოლოგებმა ძვ.წ. VI ათასწლეულის ვაზის რამდენიმე წიპწა აღმოაჩინეს და მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი ვაზის კულტურულ სახეობას, Vitis Vinifera Sativa-ს მიაკუთვნეს. სულ ახლახან, 2006-2007 წლებში გადაჭრილი გორის ნამოსახლარზე განახლებული გათხრების შედეგად ნეოლითის პერიოდის კიდევ რამდენიმე წიპწა აღმოჩნდა, გარდა ამისა, ღვინის ნაშთების პოვნის მიზნით შესწავლილ იქნა ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. ქიმიური ანალიზის შედეგად თიხის ჭურჭელზე ღვინის მჟავას კალციუმის მარილის არსებობა დადასტურდა. კერამიკული ნაკეთობის კედლებზე ღვინის მჟავას წყარო მხოლოდ ღვინო ან ყურძნის წვენი შეიძლებოდა ამ აღმოჩენებმა დაადასტურეს, რომ ადამიანისა და ვაზის ურთიერთობა VI ათასწლეულიდან დაიწყო და რომ საქართველოს ტერიტორიაზე არა მხოლოდ პირველი კულტურული ვაზი გვხვდება, არამედ ღვინის პირველი ნაშთებიც.[4]

თელიანი ველის ისტორია მე-19 საუკუნეში დაიწყო, როცა ძველი მარნისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე იმპერატორის ძმის, მიხეილ რომანოვის განკარგულებით ღვინის მოცულობითი სარდაფი აშენდა. სააქციო საზოგადოება “თელიანი ველი” დაარსდა 1997 წელს “თელიანის სამარკო ღვინოების მარნის” ბაზაზე, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში აშენდა წინანდალში თელიანის ვენახების მახლობლად. კომპანიაში დასაქმებულია 190 თანამშრომელი.

კომპანიის მისამართია : ისაკიანის ჩიხი 2, თბილისი.

---

4 http://www.telianivalley.com

დიაგრამაზე 16 დაყრდნობით, გავაანალიზოთ ქართული ღვინის ექსპორტი ბოლო 9 წლის განმავლობაში.

*დიაგრამა 16. საქართველოს ღვინის ექსპორტი,*

*2009-2018 წწ.*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019.*

დასკვნა :

- 2009 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, შეინიშნებოდა ღვინის ექსპორტის უწყვეტი ზრდა;
- 2018 წლის უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ნუსხაში მნიშვნელოვანი წილით - 6% წარმოდგენილია ღვინო;
- ბოლო 9 წელში ღვინომ ექსპორტის პიკს 2014 წელს მიაღწია და შეადგინა 158 მლნ. აშშ დოლარი;

- ღვინის ექსპორტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 22 მლნ აშშ დოლარი - დაფიქსირდა 2009 წელს.

4) რუსთავის აზოტი

ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილების ქიმიური საწარმო „აზოტი“ აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. გადაწყვეტილება რუსთავის „აზოტის“ ამოქმედების შესახებ მიიღეს მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის – კოქსის აირის არსებობის საფუძველზე 1947 წელს.

1955 წლის აპრილში რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა ამოქმედდა. 1956 წლის 27 თებერვალს ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით მიიღეს პირველი ამიაკი. სწორედ ეს თარიღია მიჩნეული საწარმოს დაბადების დღედ. საწარმო სპეციალიზებულია მინერალური სასუქების, ასევე ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავას, ამიაკის წყლის და სხვ. სახის პროდუქციის წარმოებაზე.

რუსთავის „აზოტს“ უჭირავს მყარი პოზიციები შიდა და მსოფლიო ბაზარზე. დღეისათვის რუსთავის აზოტი სიდიდით საქართველოში ერთ-ერთი პირველი სამრეწველო საწარმოა სადაც დასაქმებულია 2 ათასზე მეტი თანამშრომელი.

კომპანიის მისამართია ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. 2.

*დიაგრამა 17. საქართველოს აზოტოვანი სასუქების ექსპორტი,*

*2009-2018 წწ.*




*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019*

დასკვნა :

- აზოტის ექსპორტის დინამიკა 2009-2016 წწ. ძალზედ არასტაბილურობით ხასიათდება;
- 2018 წლის უმსხვილესი საექსპორტო საქონელთა ნუსხაში მნიშვნელოვანი წილით-ტლიან ექსპორტში 3%-იანი წილით წარმოდგენილია ღვინო;
- ბოლო 9 წელში აზოტოვანი სასუქების ექსპორტმა 2018 წელს მიაღწია პიკს და შეადგინა 27 მლნ. აშშ დოლარი;
- აზოტის ექსპორტში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2010 წელს - 2.7 მლნ აშშ დოლარი.

## 2.4.2. ზოგიერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანიის მახასიათებლები

საქართველოს იმპორტმა 2018 წელს 9 122 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც დსთ - ს იმპორტირებულ პროდუქციათა ღირებულება 2 689 მლნ. აშშ დოლარია, რაც 2018 წელს საქართველოს მთლიანი იმპორტის თითქმის მესამედი ნაწილია. ქვეყნის უმსხვილესი საიმპორტო საქონელთა წილი მთლიან იმპორტში წარმოდგენილია დიაგრამაზე 18.

*დიაგრამა 18. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო საქონელთა წილი მთლიან იმპორტში, 2018 წ.*



*[http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo)* *20.06.2019.*

დასკვნა :

- 2018 წელს საქართველოს იმპორტში ყველაზე დიდი წილი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს უკავია, რაც მთლიანი იმპორტის 10% ია;
- 2018 წლის უმსხვილესი საიმპორტო საქონელთა ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მედიკამენტებს, რომელიც მთლიანი იმპორტის 4%-ს წარმოადგენს;
- 2018 წლის იმპორტის დიდ ნაწილს ასევე წარმოადგენს სიგარეტები - 2 %-იანი წილით მთლიან იმპორტში;
- ავტომობილებს 2018 წლის საქართველოს იმპორტის უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებში მაღალი მაჩვენებელი - 7%-იანი წილი აქვს;
- 2018 წელს აქვთ საქართველოს მთლიან იმპორტში 1%-იანი წილობრივი მაჩვენებელი ხორბალს, აირის ტურბინებსა და გამომთვლელ მანქანებს.

კვლევის შემდეგ ეტაპზე დავინტერესდით საქართველოში არსებული უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიების საქმიანობით, შექმნის ისტორიით და მათთან დასაქმებული მუშახელის რაოდენობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვავლინეთ გარკვეული ტენდენციები.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ერთი-ერთ უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიებია: შ.პ.ს „PSP ფარმა“, შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, შპს „რუსთავის ფოლადი“. კომპანიების შერჩევის ეტაპზე, ვინაიდან მათ მიერ გატანილი პროდუქციის რაოდენობასა და ღირებულებაზე ინფორმაცია კონფედენციალურია, ყურადღება გავამახვილეთ: წარმოების ხანგრძლივობაზე, ისტორიაზე, ცნობადობაზე, წარმოების მასშტაბებსა და დასაქმებულთა რაოდენობაზე. ასევე დავინტერესდით თუ

რამდენად მაღალი იყო მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში.

ამჯერად განვიხილოთ კონკრეტული იმპორტიორი კომპანიების მაჩვენებლები:

1) PSP ფარმა

პე-ეს-პე 1994 წლიდან საქართველოს ფარმაცევტული ბაზარზე მომხმარებლისთვის ხარისხის გარანტად გვევლინება. თავდაპირველად, სადისტრიბუციო კომპანია „დანერგვის ცენტრი პსპ“ შეიქმნა, რომელიც საქართველოში ევროპული მედიკამენტების პირველი ოფიციალური დისტრიბუტორი გახდა; ადგილობრივი წარმოების შექმნის იდეა 1998 წელს დაიბადა, 2000 წელს პსპ-ს ფარმაცევტული საწარმო GMP-მ პირველი მედიკამენტი გამოუშვა, და ყოველწლიურად ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ „ქართველებსაც შეგვიძლია საერთაშორისო სტანდარტის მედიკამენტები ვაწარმოოთ; მისი ექსპორტის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება და მსოფლიოს 11 ქვეყანაში ჯიემპის წარმოებული წამალი ხარისხითა და ეფექტურობით სახელს იხვეჭს. ქარხანა აწარმოებს 150-მდე დასახელების, სხვადასხვა ჯგუფის, ახალი თაობის მედიკამენტებს.; წარმატებით ახორციელებს 1000-ზე მეტი ფარმაცევტული ქარხნის 10000-ზე მეტი დასახელების მედიკამენტების და სამკურნალო კოსმეტიკის, ჰიგიენური საშუალებების იმპორტს და მათ დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა წარმოადგენს 750 ადამიანს.

PSP - ს მფლობელობაშია ასევე კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი" ევროპული სტანდარტის 150 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი რომლის ამბულატორიულ განყოფილებას ყოველდრიურად 1000 პაციენტის მომსახურება შეუძლია. ჰოსპიტალში 1200-მდე სპეციალისტია დასაქმებული. მათ შორის უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი, რომელთაც ევროპასა და ამერიკაში მუშაობის და სტაჟირების დიდი გამოცდილება აქვთ.

კომპანიის მისამართია : დმანისის რაიონი, დმანისი, ი. ცურტაველის ქ. 54

*დიაგრამა 19. სამკურნალო საშუალებების იმპორტი საქართველოში, 2009-2018 წწ.*




*შედგენილი:[http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo) 24.04.2019.*

დასკვნა :

- 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით შეინიშნებოდა სამკურნალო საშუალებების იმპორტის უწყვეტი ზრდა;
- 2018 წლის უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მედიკამენტებს, რომელიც 4 % წარმოადგენს მთლიანი იმპორტის;
- ბოლო 9 წლის განმავლობაში მედიკამენტების იმპორტმა პიკს მიაღწია 2018 წელს და შეადგინა 37 მლნ. აშშ დოლარი;

- ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მედიკამენტების იმპორტისა შეინიშნებოდა 2009 წელს - 16 მლნ. აშშ დოლარი.

2) სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი

„სოკარი" მულტიეროვნული კომპანიაა, რომელიც 6 ქვეყანაში ფუნქციონირებს. სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი ქართულ ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა- პირველი ავტოგასამართი სადგური 2008 წლის 25 აპრილს გაიხსნა. სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი მზარდი კომპანიაა, რომელშიც 1500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. სოკარის ავტოგასამართ სადგურთა ქსელში აღსანიშნავია ისეთი თანამედროვე და გამორჩეული ობიექტები, როგორიცაა ურბნისის მრავალფუნქციური კომპლექსი, თბილისის შემოვლით გზაზე არსებული მრავალფუნქციური კომპლექსი და სოკარისა და მაკდონალდსის ერთობლივი პროექტი ბათუმში. კომპანიის მისამართია : მის.: 300 არაგველის ქუჩა, თბილისი.

*დიაგრამა 20. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში 2009-2018 წწ.*



*შედგენილი: http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo 24.04.2019.*

დასკვნა :

- 2009 წლიდან 2015 წლის ჩათვლით შეინიშნებოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტში ზრდაც და კლებაც;
- ნავთობპროდუქტებს 2018 წლის უმსხვილესი საიმპორტო საქონელთა ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომელიც მთლიანი იმპორტის 10% წარმოადგენს;
- ბოლო 9 წლის განმავლობაში მედიკამენტების იმპორტმა პიკს მიაღწია 2018 წელს და 488 მლნ აშშ დოლარი შეადგინა;
- ნავთობპროდუქტების იმპორტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს - 293 მლნ აშშ დოლარი.

3) რუსთავის ფოლადი

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა 1948 წელს დაარსდა და სამხრეთ კავკასიაში სრული მეტალურგიული ციკლის პირველი საწარმო იყო, რომელიც ამზადებდა ფოლადს, ცხლადნაგლინ უნაკერო მილებს, თუჯის, ალუმინისა და რკინის სხვადასხვა კონსტრუქციებს. აქვე აწარმოებდნენ უნაკერო მილებს ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ნავთობის საბადოებისათვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2011 წელს შეიქმნა შპს რუსთავის ფოლადი, რომელმაც შეიძინა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივები. რუსთავის მეტალურგიული საწარმო, რომელიც ერთ–ერთი ყველაზე მსხვილი მეტალურგიული წარმოებაა მთელს კავკასიაში,

მდებარეობს საქართველოს დედაქალაქის, თბილისის სამხრეთითა და მისგან 30 კილომეტრის დაშორებით.

ამჟამად, რუსთავის მეტალურგიული საწარმოს ახალი მენეჯმენტისა და მფლობელების მიზანია ინვესტიციებისა და რესტრუქტურიზაციის მთავარი პროგრამის ფარგლებში აღადგინოს საწარმო და განავითაროს საქმიანობა რეგიონულ და ახალ გლობალურ ბაზრებზე.

საწარმო დღეს სხვადასხვა სახის პროდუქციას აწარმოებს, რომელთა შორისაა: არმატურა, უნაკერო მილები, კვადრატული ნამზადი, თუჯის სხმულები, ლითონკონსტრუქციები, მექანიკური დეტალები, ფასონური სხმულები, გრანულირებული წიდა, სილიკომანგანუმი, კირი და კირქვა.

იმისათვის, რომ რუსთავის მეტალურგიულმა საწარმომ გაიმყაროს პოზიციები ბაზარზე, მისი უპირველესი ამოცანაა წარმოების მოცულობის გაზრდა. ამ მიზნით, ახალი მენეჯმენტი თანმიმდევრულად ახორციელებს საწარმოს სისტემატურ განახლებასა და გადაიარაღებას, ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს. ქარხნისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია გამოცდილი კადრების ხელშეწყობით ახალგაზრდა კადრების მომზადება.

დღეს რუსთავის მეტალურგიული საწარმო ახორციელებს ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ს, რუსეთის და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე, ასევე მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში.

შპს რუსთავის ფოლადში დასაქმებულია 1 300-ზე მეტი ადამიანი. კომპანიის მისამართი : გაგარინის ქ. 13, ქ. რუსთავი.

დიაგრამა 21 - ს მეშვეობით განვიხილოთ საქართველოში ფოლადის იმპორტის სტატისტიკა ბოლო 9 წლის განმავლობაში.

*დიაგრამა 21. ფოლადის იმპორტი საქართველოში, 2009-2018 წწ.*




*შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo) 24.04.2019.*

დასკვნა :

- 2009 წლიდან 2015 წლის ჩათვლით შეინიშნებოდა ფოლადის იმპორტში ზრდაც და კლებაც;
- ფოლადის იმპორტის მინიმუმი დონე ბოლო წლების განმავლობაში დაფიქსირდა 2009 წელს და შეადგინა 24 მლნ აშშ დოლარი;
- ბოლო 9 წლის განმავლობაში ფოლადის იმპორტმა პიკს მიაღწია 2018 წელს და შეადგინა 291 მლნ აშშ დოლარი.

## 2.5. დსთ-ს ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებად ქვეყნებში უცხოური ვალუტის შედინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად ტრანსფერებს დიდი გავლენა აქვს დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და ყიდვითუნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

საერთაშორისო ფულადი გზავნილები ხშირად ის პირადი თანხებია, რომლებსაც მიგრანტები თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებს - ახლობლებს უგზავნიან. მსოფლიოს მასშტაბით 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. 2008 წელს, მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) 2% და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მსპ-ის 6% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების ნაკადები უფრო სტაბილურია, ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, რომლიც თავის მხრივ, გარე და შიდა შოკებისადმი მაღალი მგრძნობელობით ხასიათდება. უფრო მეტიც, მიმღებ ქვეყანაში არსებული კრიზისის დროს, ხშირ შემთხვევაში, ფულადი გზავნილების ნაკადები იზრდება და დაღმავალი ეკონომიკური ციკლის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ამავდროულად, ქვეყანაში ამ გზით შემოსული უცხოური ვალუტა არ იწვევს მომავალში ვალდებულების ზრდას. უმეტესი განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ფულადი ტრანსფერები უცხოური ვალუტის მიღების და იმპორტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა.

განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ფულადი გზავნილების მოცულობა მთლიანი სამამულო პროდუქტის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს კვლევაში აღნიშნული საკითხზეც გაგვემახვილებინა ყურადღება.

ცხრილი 10 – 11 ზე დაყრდნობით (დიაგრამა 22 და 23), განვახორციელებთ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ჩარიცხულ და ქვეყნიდან გადარიცხული თანხების დინამიკის ანალიზს.

*ცხრილი 16. საქართველოში ფულადი გადმორიცხვები დსთ-ს ქვეყნებიდან, 2012-2018 წწ.*

| ქვეყნები : | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 10,358.5 | 14,964.2 | 17,824.4 | 15,507.0 | 14,756.4 | 15,681.5 | 20,449.5 |
| ბელარუსი | 2,282.2 | 5,757.7 | 7,811.1 | 4,804.8 | 3,608.9 | 3,798.1 | 4,389.7 |
| თურქმენეთი | 122.2 | 258.6 | 330.1 | 599.4 | 55.0 | 111.2 | 50.0 |
| მოლდოვა | 429.8 | 703.6 | 899.2 | 743.4 | 604.2 | 580.4 | 787.5 |
| რუსეთის ფედერაცია | 747,525.3 | 801,428.5 | 709,255.1 | 432,687.9 | 394,602.7 | 455,439.0 | 457,183.7 |
| სომხეთი | 5,571.6 | 7,285.3 | 7,829.6 | 6,487.8 | 6,927.3 | 7,398.0 | 9,114.6 |
| ტაჯიკეთი | 976.9 | 1,877.1 | 1,503.2 | 1,268.6 | 784.0 | 1,011.5 | 1,136.9 |
| უზბეკეთი | 2,326.0 | 2,724.1 | 3,899.2 | 4,166.9 | 3,984.7 | 4,236.7 | 3,536.5 |
| უკრაინა | 47,427.1 | 45,576.3 | 30,766.1 | 20,860.5 | 21,043.2 | 26,506.5 | 28,788.3 |
| ყაზახეთი | 12,628.8 | 16,077.5 | 17,608.8 | 14,656.3 | 11,839.1 | 13,708.2 | 16,097.7 |
| ყირგიზეთი | 1,216.8 | 2,568.5 | 4,270.5 | 942.1 | 1,472.6 | 2,671.7 | 11,098.2 |
| დსთ : | 830,864.97 | 899,221.28 | 801,997.25 | 502,724.63 | 459,678.13 | 531,142.61 | 552,632.66 |
| სულ ჩარიცხული თანხა | 1,334,520.85 | 103,636.85 | 1,440,404.16 | 1,079,964.18 | 1,153,391.21 | 1,387,250.01 | 1,579,664.91 |

*შედგენილი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 24.05.2019.*

*დიაგრამა 22. საქართველოში ფულადი გადმორიცხვები*

*დსთ -ს ქვეყნებიდან.*




*შედგენილი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 24.04.2019.*

დასკვნა :

- დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მიხედვით, ერთპიროვნული ლიდერი ქვეყანა რუსეთის ფედერაციაა. რუსეთიდან გადმორიცხული თანხების მოცულობა მთლიანი თანხის 82 %-ს შეადგენს (2018 წლის მონაცემებით);
- 2018 წლის მონაცემებით, უკრაინიდან ფულადმა გზავნილებმა შეადგინა მთლიანი გზავნილების 6 %, ხოლო აზერბაიჯანიდან კი 4 %;
- ბოლო 7 წლის განმავლობაში დსთ-ს ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მინიმალური რაოდენობა - 459 მლნ აშშ დოლარი 2016 წელს დაფიქსირდა;
- 2018 წელს, 2012 წელთან შედარებით, ფულადი გზავნილების რაოდენობა აზერბაიჯანიდან გაორმაგდა.

*ცხრილი 17. საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში ფულადი გადარიცხვები, 2012-2018 წწ.*

| ფულადი გადარიცხვები ( ათასი აშშ დოლარი) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნები : | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** | **2017** | **2018** |
| აზერბაიჯანი | 2,999.8 | 5,193.7 | 7,509.5 | 7,369.3 | 8,802.1 | 9,832.1 | 12,208.2 |
| ბელარუსი | 1,683.2 | 1,977.5 | 1,952.1 | 2,277.4 | 2,607.4 | 2,829.8 | 2,606.9 |
| თურქმენეთი | 132.0 | 98.3 | 215.4 | 154.0 | 133.4 | 22.5 | 3.3 |
| მოლდოვა | 394.6 | 644.3 | 1,082.8 | 1,796.5 | 2,047.9 | 1,972.4 | 1,871.5 |
| რუსეთის ფედერაცია | 35,511.9 | 51,218.9 | 72,859.1 | 77,699.8 | 87,326.0 | 89,623.6 | 90,375.3 |
| სომხეთი | 2,874.4 | 4,254.9 | 5,839.8 | 4,841.7 | 6,754.6 | 6,523.5 | 7,526.1 |
| ტაჯიკეთი | 247.5 | 1,275.5 | 681.9 | 919.4 | 212.5 | 346.7 | 342.6 |
| უზბეკეთი | 3,347.2 | 5,743.4 | 4,023.6 | 3,728.6 | 3,826.1 | 4,684.7 | 4,299.7 |
| უკრაინა | 19,017.6 | 22,277.6 | 19,204.5 | 19,133.8 | 21,532.7 | 22,369.7 | 25,952.0 |
| ყაზახეთი | 1,581.0 | 2,495.6 | 3,294.3 | 3,710.8 | 4,232.9 | 4,357.3 | 4,879.9 |
| ყირგიზეთი | 1,706.9 | 2,445.3 | 3,538.2 | 2,079.4 | 2,826.3 | 3,304.9 | 3,932.1 |
| სულ დსთ : | 69,496.14 | 97,625.11 | 120,201.28 | 123,710.79 | 140,301.88 | 145,867.24 | 153,997.54 |
| სულ გადარიცხული თანხა | 108,302.37 | 155,207.95 | 178,358.16 | 170,842.67 | 194,138.66 | 209,889.60 | 229,745.74 |

*შედგენილი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 24.04.2019.*

*დიაგრამა 23. საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში ფულადი გადარიცხვები*




*შედგენილი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 24.04.2019.*

დასკვნა :

- საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში ფულად გადარიცხვებშიც ერთპიროვნული ლიდერი ქვეყანა რუსეთის ფედერაციაა. რუსეთში გადარიცხული თანხების მოცულობა მთლიანი თანხის 6 % შეადგენს (2018 წლის მონაცემებით);
- 2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან უკრაინაში ფულადმა გზავნილებმა შეადგინა მთლიანი გზავნილების 16 %, ხოლო აზერბაიჯანში - 8 %;
- ბოლო 7 წლის განმავლობაში, საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში ფულადი გადარიცხვების მინიმალური რაოდენობა - 69 მლნ. აშშ დოლარი, დაფიქსირდა 2012 წელს;
- 2018 წელს, 2012 წელთან შედარებით, ფულადი გზავნილების რაოდენობა საქართველოდან - აზერბაიჯანში 6 ჯერ გაიზარდა.

# დასკვნა

1) გლობალიზაციის ფონზე საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენები ასევე გავლენას ახდენენ საქართველოსა და დსთ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) ქვეყნებზე, რომლებიც ზოგჯერ მსოფლიოში მიმდინარე ვაჭრობის პროცესების მნიშვნელოვან მოთამაშეებადაც კი გვევლინებიან. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო მსოფლიოს განვითარებული და განვითარებად სამყაროსთვის სტრატეგიულ ინტერესთა სფეროშია. ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპა-აზიის სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა გლობალური და კონკრეტულად, საქართველო-დსთ-ს ვაჭრობაში შემდეგი თანამედროვე ტენდენციები:

1.1. საგარეო ვაჭრობის გლობალური ტენდენციების მიხედვით:

- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა: 1995 წელს შეადგენს მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის 20.82 %, ხოლო 2018 წელს 29.26 %-ს; მსოფლიოში 1995 – 2018 წწ. გაიზარდა 3.9 -ჯერ; პიკს აღწევს 2018 წელს - 25,107 ტრლნ აშშ დოლარი. 2009 წელს, ფინანსური კრიზსის გავლენით, შემცირდა 4 ტრლნ დოლარით;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა 1995-2018 წწ. პერიოდში ყველაზე დაბალი 1995 წელს იყო და შეადგინა 6.4 მლრდ აშშ დოლარი;
- საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობა: მსოფლიოში 1995 – 2018 წწ. გაიზარდა 3.9-ჯერ, პიკს აღწევს 2018 წელს (24 641 მლრდ აშშ დოლარი); 2009 წელს, ფინანსური კრიზისის გავლენით, ეს მაჩვენებელი შემცირდა 3.8 ტრლნ დოლარით; 1995-2018 წწ. პერიოდში ყველაზე დაბალი 1995 წელს იყო (6 296 მლრდ აშშ დოლარი;

- მსოფლიო ვაჭრობის სალდოს მაჩვენებელი: 1995-2018 წწ. (გაიზარდა 3.45-ჯერ) უარყოფითი იყო მხოლოდ 2001 წელს (10 მლრდ აშშ დოლ.), მაქსიმალური კი 2012 წელს ( 712 მლრდ. აშშ დოლარი);
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა 2018 წელს შეადგენს მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის 29.8 %-ს ანუ დაახლ. 9 %-ით მეტს 1995 წელთან შედარებით;
- 2016 წლიდან ექსპორტის წილი მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში მონოტონურად იზრდება;
- საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობამ 2018 წელს შეადგინა მსოფლიო ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტის 29.2 %, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1995 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს;
- 2016 წლიდან იმპორტის წილი მსოფლიო ჯამურ მთლიან სამამულო პროდუქტში მონოტონურად იზრდება;

2. დსთ-ს ქვეყნებში რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ეკონომიკური მაჩვენებლები გაცილებით მაღალია თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მათი ვაჭრობის ბრუნვის მონაცემები რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად აღემატება ბლოკში შემავალ დანარჩენ სახელმწიფოთა ვაჭრობის ინდიკატორებს;

3. საქართველომ სწრაფი ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ ექსპორტის ზრდის ხარჯზე შეამციროს ვაჭრობის სალდო ისეთ ქვეყნებთა, როგორიცაა: აზერბაიჯანი, რუსეთი, მოლდოვა, ბელორუსი, თურქმენეთი;
   3.1.საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა აზერბაიჯანთან, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები საგრძნობლად (ექსპორტი დაახლ. 5-ჯერ) შემცირდა, რაც ძირითადად განაპირობა საქართველოდან აზერბაიჯანში ავტომობილების რეექსპორტის შემცირებამ. აზერბაიჯანიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, რაც დიდწილად განაპირობა ენერგორესურსების იმპორტმა;

3.2. საქართველოს ექსპორტმა სომხეთთან, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, იმპორტმა კი 2016 წელს. ამ წელს ექსპორტი დაახლ. 2-ჯერ შემცირდა. ეს გარემოება, როგორც აზერბაიჯანის შემთხვევაში, განაპირობა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის თითქმის 3-ჯერ შემცირებამ. საქართველოდან სომხეთში ექსპორტის მაჩვენებლები 2016 წლამდე აღემატება იმპორტის მოცულობას, რაც განპირობებულია ასევე მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ცვლილებასთან;

3.3. საქართველოს ექსპორტმა მოლდოვასთან, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები საგრძნობლად (ექსპორტი დაახლ. 6-ჯერ) შემცირდა. ეს გარემოება ძირითადად სპირტიანი სასმელების ექსპორტის მკვეთრად შემცირებამ განაპირობა. საქართველოდან მოლდოვაში ექსპორტის მაჩვენებლები 2016 წლამდე აღემატებოდა იმპორტის მაჩვენებლებს, რაც განაპირობა როგორც სპირტიანი, ასევე მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის შემცირებამ;

3.4. საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა უკრაინასთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2016 წელს, ეს გამოიწვია: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის მნიშვნელოვანმა ზრდამ ამ ქვეყნიდან, ასევე შემოტანილი შაქრის განსაკუთრებულმა ზრდამ 2 მლნ-დან 23 მლნ-მდე. უკრაინიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარტნიორი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს;

3.5. საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა რუსეთთან, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2016 წელს, მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტთან დაკავშირებითაც. ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებზე დაკვირვებით, რუსეთის ბაზარი დსთ-ს ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ბაზარია საქართველოსთვის თუმცა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე აშკარაა, რომ უარყოფითად აისახება;

3.6. საქართველოს ექსპორტმა ბელორუსთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, იმპორტმა კი - 2016 წელს. 2016 წელს ექსპორტი შესამჩნევად -დაახლ. 2-ჯერ შემცირდა რაც ძირითადად განაპირობა საქართველოდან ფეროდშენადნობებისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის შემცირებამ. საქართველო - ბელორუსის ვაჭრობის ურთიერთობებში გამოყოფის ღირსია 2012 წელი, სადაც იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლები თითქმის უტოლდება ერთმანეთს, ამის მიზეზია სამგზავრო ძრავიანი და სატვირთო ვაგონების იმპორტი, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 22 მლნ-ს გაუტოლდა;

3.7. საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა ყაზახეთთან, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები საგრძნობლად (იმპორტი დაახლ. 10-ჯერ) შემცირდა. აღნიშნული ძირითადად განაპირობა მაკარონის ნაწარმისა და ნაგლინის მაჩვენებლების კლებამ;

3.8. საქართველოს ექსპორტ-იმპორტმა ყირგიზეთთან, საანალიზო პერიოდში, მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2012 წელს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებლები შესამჩნევად (იმპორტი დაახლ. 1.3 -ჯერ) შემცირდა. ეს გარემოება ძირითადად განაპირობა პარკოსანი ბოსტნეულისა და ელექტრული ნათურების მონაცემების ცვლილებამ. ყირგიზეთიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლები შესამჩნევად აღემატება ექსპორტის მაჩვენებლებს, რაც დიდწილად განპირობებულია ამ ქვეყნის ბაზრის აუთვისებლობით. მიღწეულია პროგრესი ღვინისა და მინერალური წყლების გატანაში, მაგრამ ეს არასაკმარისია;

3.9. 2018 წელს საქართველოს მთლიან ექსპორტში ყველაზე დიდი წილი -15 % სპილენძის მადნებს უჭირავს, ღვინოს - 6%, ფეროშენადნობებს - 11 %, სპირტიან სასმელებს, მედიკამენტებსა და სიგარეტებს - 4-4 %, მინერალურ წყლებსა და აზოტოვან სასუქებს - 3%;

3.10. 2018 წელს საქართველოს მთლიან იმპორტში ყველაზე დიდი წილი-10% ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს უკავია, ავტომობილებს -7%, მედიკამენტებს - 4%, სიგარეტებს - 2%;

3.11. დსთ - ს ქვეყნებიდან საქართველოში ფულად გზავნილებში ერთპიროვნული ლიდერი ქვეყანა რუსეთის ფედერაცია წილი 82%), შემდეგ უკრაინა (6%) და აზერბაიჯანი (4%).

დანართი 1. მსოფლიო ქვეყნების საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 2016-2018 წწ.

| საქონლისა და მომსახურების ექსპორტი | | | |
|---|---|---|---|
| *ქვეყნები* | *2016* | *2017* | *2018* |
| არუბა | 1,848,603,352 | 1,912,290,503 | |
| ავღანეთი | 1,148,855,434 | 1,192,286,469 | |
| ანგოლა | 28,440,561,887 | 35,420,915,617 | |
| ალბანეთი | 3,437,170,828 | 4,110,273,661 | 4,776,973,438 |
| არაბული სამყარო | 989,152,809,696 | 1,125,005,734,671 | 1,300,650,592,266 |
| არაბთა გაერთიანებული საამიროები | 360,626,276,378 | 384,043,567,052 | 388,754,254,595 |
| არგენტინა | 69,842,486,096 | 72,256,505,014 | 74,667,455,946 |
| სომხეთი | 3,495,833,404 | 4,303,143,626 | 4,663,968,198 |
| ამერიკის სამოა | 427,000,000 | 364,000,000 | |
| ანტიგუა და ბარბუდა | 608,888,889 | | |
| ავსტრალია | 232,727,471,248 | 281,876,461,272 | 310,569,723,277 |
| ავსტრია | 206,257,438,716 | 223,978,845,639 | 248,596,964,235 |
| აზერბაიჯანი | 17,580,998,935 | 19,839,356,263 | 25,484,470,588 |
| ბურუნდი | 189,622,650 | | |
| ბელგია | 388,576,714,708 | 424,418,632,561 | 467,594,514,628 |
| ბენინი | 2,128,529,761 | 2,523,090,672 | 3,665,382,142 |
| ბურკინა ფასო | 2,826,906,192 | 3,202,290,579 | 4,144,558,534 |
| ბანგლადეში | 36,864,997,681 | 37,548,748,736 | 40,558,319,574 |
| ბულგარეთი | 34,062,839,367 | 39,222,875,252 | 42,007,181,654 |
| ბაჰრეინი | 23,782,180,851 | 26,731,382,979 | 33,242,792,553 |
| ბაჰამის კუნძულები | 4,239,300,000 | 4,093,100,000 | |
| ბოსნია და ჰერცოგოვინა | 6,028,973,474 | 7,245,879,912 | 8,183,134,581 |
| ბელარუსი | 29,831,121,834 | 36,551,674,171 | 41,882,705,143 |
| ბელიზი | 933,746,650 | 1,009,694,450 | |
| ბოლივია | 8,311,504,920 | 9,341,206,368 | 10,470,274,096 |
| ბრაზილია | 224,011,751,218 | 258,207,840,133 | 276,656,524,988 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარბადოსი | 1,648,850,000 | 1,775,045,900 | |
| ბრუნეი | 5,652,190,835 | 6,012,294,735 | 7,045,834,336 |
| ბუტანი | 608,539,736 | 735,446,792 | |
| ბოტსვანა | 7,785,106,227 | 6,957,515,898 | 7,326,358,930 |
| ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა | 264,485,381 | 329,327,913 | |
| კანადა | 477,090,197,288 | 512,176,315,812 | 544,861,878,062 |
| ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნების | 837,292,328,903 | 946,959,772,431 | 1,060,956,377,313 |
| შვეიცარია | 441,238,941,016 | 440,709,794,233 | 461,777,344,809 |
| ჩილე | 70,495,465,811 | 79,229,595,176 | 85,925,273,698 |
| ჩინეთი | 2,199,967,569,433 | 2,424,199,911,705 | 2,655,609,104,875 |
| კოტ დ 'ივუარი | 11,788,864,553 | 12,824,122,431 | 12,814,809,880 |
| კამერუნი | 6,276,171,223 | 6,490,020,694 | 6,379,068,657 |
| კონგოს, დემ. რეპ. | 8,896,176,893 | 13,401,989,662 | 15,877,982,606 |
| კონგოს, რეპ. | 6,005,741,573 | 8,182,172,506 | 11,138,571,943 |
| კოლუმბია | 41,623,750,619 | 47,059,502,785 | 52,477,852,992 |
| კომორის კუნძულები | 109,106,918 | 124,096,682 | |
| კაბო ვერდე | 735,539,143 | 817,306,514 | 970,799,915 |
| კოსტა - რიკა | 18,345,151,692 | 19,229,169,890 | 20,275,454,831 |
| კარიბის პატარა ქვეყნები | | | |
| კუბა | 13,690,000,000 | 14,083,000,000 | |
| კურაკოო | | | |
| კაიმანის კუნძულები | | | |
| კვიპროსი | 13,199,557,522 | 14,340,945,459 | 15,730,169,972 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 155,205,275,523 | 172,139,400,248 | 192,439,670,347 |
| გერმანია | 1,604,176,602,394 | 1,737,550,688,502 | 1,877,006,116,036 |
| ჯიბუტი | 594,800,810 | 631,369,230 | 680,619,422 |
| დომინიკა | 215,144,926 | 225,558,000 | 236,479,407 |
| დანია | 167,206,641,304 | 179,922,030,574 | 192,079,845,352 |
| დომინიკის რესპუბლიკა | 18,027,996,549 | 18,854,753,910 | 20,400,820,804 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ალჟირი | 33,403,107,185 | 37,932,650,284 | |
| აღმოსავლეთ აზია და წყნარი | 3,187,531,921,666 | 3,545,879,642,162 | 3,859,848,302,916 |
| ადრეული დემოგრაფიული დივიდენდი | 2,395,807,464,582 | 2,696,354,147,538 | 3,003,892,415,020 |
| აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანე | 6,372,622,054,612 | 7,055,757,327,283 | 7,656,792,926,772 |
| ევროპა და ცენტრალური აზია | 842,577,432,756 | 999,613,064,825 | 1,165,897,903,112 |
| ევროპა და ცენტრალური აზია | 8,579,967,096,868 | 9,388,393,871,906 | 10,319,390,535,569 |
| ეკვადორი | 19,492,639,000 | 21,727,767,000 | 24,736,180,000 |
| ეგვიპტე, არაბთა რესპუბლიკა | 34,442,928,939 | 37,231,733,456 | 47,449,289,702 |
| ევრო ფართობი | 5,471,490,814,927 | 5,967,622,531,116 | 6,541,416,627,607 |
| ერიტრეა | | | |
| ესპანეთი | 409,805,978,270 | 450,999,733,024 | 488,867,637,774 |
| ესტონეთი | 18,611,762,950 | 20,369,648,221 | 22,787,297,410 |
| ეთიოპია | 5,802,132,325 | 6,235,229,067 | 7,058,383,543 |
| ევროპის კავშირი | 7,269,617,342,839 | 7,921,903,593,213 | 8,662,639,940,685 |
| მყიფე და კონფლიქტური სიტუაციები | 172,793,363,441 | 223,001,406,477 | 277,478,829,273 |
| ფინეთი | 85,726,757,295 | 97,169,540,896 | 107,420,283,309 |
| ფიჯი | | | |
| საფრანგეთი | 747,503,032,910 | 797,090,439,058 | 870,409,422,465 |
| ფარერის კუნძულები | | | |
| მიკრონეზია, სახლემწიფო. ქ. | 87,818,100 | | |
| გაბონი | 6,171,276,343 | 7,480,074,431 | |
| გაერთიანებული სამეფო | 752,005,243,207 | 794,770,830,236 | 845,887,850,168 |
| საქართველო | 6,269,425,402 | 7,580,731,381 | 8,927,350,578 |
| განა | 17,537,473,273 | 20,801,085,643 | |
| გიბრალტარი | | | |
| გვინეა | 2,527,277,838 | 4,708,748,038 | 4,082,343,802 |
| გამბია, The | 241,197,596 | 338,494,019 | |
| გვინეა-ბისაუ | 312,319,796 | 374,071,500 | 369,432,111 |
| ეკვატორული გვინეა | 5,775,294,507 | 7,066,305,038 | 7,547,396,742 |
| საბერძნეთი | 58,691,179,424 | 66,998,728,401 | 78,773,229,216 |

| | | | |
|---|---|---|---|
| გრენადა | 592,563,556 | | |
| გრენლანდია | 1,114,725,849 | | |
| გვატემალა | 13,418,321,294 | 14,213,557,615 | 14,217,509,841 |
| გუამი | 1,123,000,000 | 1,128,000,000 | |
| გაიანა | 1,606,400,000 | 1,606,300,242 | |
| ჰონკონგი SAR, ჩინეთი | 600,044,445,590 | 644,884,129,754 | 682,552,784,334 |
| ჰონდურასი | 9,211,989,882 | 9,953,234,286 | 9,946,150,354 |
| მძიმე ვალია ღარიბი ქვეყნები (HIPC) | 148,729,113,783 | 174,524,662,709 | 181,373,848,055 |
| ხორვატია | 25,160,939,480 | 28,200,329,614 | 31,149,428,890 |
| ჰაიტი | 1,652,683,813 | 1,583,962,023 | 1,649,258,254 |
| უნგრეთი | 113,062,177,203 | 123,338,351,755 | 134,728,098,343 |
| ინდონეზია | 177,886,012,772 | 204,999,366,083 | 218,498,866,082 |
| კუნძული მენი | | | |
| ინდოეთი | 439,642,787,829 | 498,165,356,456 | 536,965,029,001 |
| ირლანდია | 363,078,143,483 | 397,291,689,291 | 453,038,803,606 |
| ირანი, ისლამი რეპ. | 93,867,660,645 | 113,240,667,700 | |
| ერაყი | 55,870,841,118 | 74,178,085,618 | 98,528,527,794 |
| ისლანდია | 9,822,037,167 | 11,290,682,062 | 12,219,355,349 |
| ისრაელი | 95,633,022,905 | 103,292,752,405 | |
| იტალია | 553,726,713,181 | 606,649,836,029 | 658,594,046,157 |
| იამაიკა | 4,402,956,689 | 5,035,423,808 | |
| იორდანიაში | 13,603,385,049 | 14,317,665,162 | 15,074,612,130 |
| იაპონია | 800,719,531,904 | 863,818,609,301 | |
| ყაზახეთი | 43,714,755,378 | 55,964,356,244 | |
| კენია | 9,902,132,321 | 10,439,798,899 | 11,582,815,557 |
| ყირგიზეთის რესპუბლიკა | 2,440,818,090 | 2,638,474,038 | 2,649,044,237 |
| კამბოჯა | 12,266,568,265 | 13,457,559,457 | 15,135,150,382 |
| კირიბატი | 31,222,123 | 24,524,831 | |
| ქ. კიტსი და ნევისი | 518,488,000 | | |
| კორეა, რეპ. | 598,238,640,839 | 659,615,510,844 | 712,710,876,079 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქუვეითი | 53,495,531,281 | 60,237,388,724 | |
| ლათინური ამერიკა და კარიბები | 988,427,320,620 | 1,092,609,800,309 | 1,183,325,856,721 |
| ლაო PDR | 5,248,980,000 | 5,787,433,703 | |
| ლიბანი | 12,945,613,185 | 12,734,994,329 | 13,219,500,761 |
| ლიბერია | 702,000,000 | 797,846,200 | 849,000,000 |
| ლიბია | 6,853,934,202 | 14,460,327,774 | 29,178,725,888 |
| ქ. ლუსია | 612,703,704 | | |
| ლათინური ამერიკა და კარიბები | 1,199,829,381,937 | 1,316,435,886,209 | 1,406,392,823,822 |
| შრი ლანკა | 17,447,582,581 | 19,086,840,870 | 20,256,022,007 |
| ლესოტო | 967,978,076 | | |
| გვიან-დემოგრაფიული დივიდენდი | 5,236,364,911,734 | 5,859,172,358,882 | 6,453,318,729,394 |
| ლიტვა | 31,845,140,205 | 38,465,101,868 | 43,821,104,501 |
| ლუქსემბურგი | 131,846,999,430 | 139,014,969,018 | 156,182,075,765 |
| ლატვია | 16,611,462,913 | 18,611,389,449 | 20,517,590,453 |
| მაროკო | 36,352,077,492 | 40,714,609,988 | 45,362,823,750 |
| მოლდოვა | 2,607,823,959 | 3,007,175,631 | 3,440,576,854 |
| მადაგასკარი | 3,350,071,709 | 4,073,064,504 | |
| მალდივები | 3,147,553,740 | 3,290,067,778 | |
| ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა | 1,185,009,404,145 | 1,347,020,135,838 | |
| მექსიკა | 399,885,401,439 | 435,834,971,129 | 480,015,559,589 |
| მარშალის კუნძულები | 53,566,700 | 64,300,000 | |
| საშუალო შემოსავალი | 6,106,449,262,145 | 6,893,956,747,784 | 7,601,261,547,704 |
| ჩრდილოეთ მაკედონია | 5,407,084,299 | 6,248,858,970 | 7,646,443,575 |
| მალი | 3,285,700,702 | 3,536,676,644 | 3,845,657,042 |
| მალტა | 17,385,375,072 | 19,233,773,125 | 21,022,975,424 |
| მიანმარი | 9,489,358,286 | 13,320,128,570 | |
| ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა | 326,057,805,865 | 388,173,026,998 | |
| მონტენეგრო | 1,769,814,159 | 1,988,957,629 | 2,356,258,263 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მონღოლეთი | 5,615,847,673 | 6,831,989,214 | 7,842,604,950 |
| ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები | 903,000,000 | 1,170,000,000 | |
| მოზამბიკი | 4,008,917,962 | 5,151,491,799 | 5,885,747,133 |
| მავრიტანია | 1,756,451,013 | 2,167,498,547 | 2,316,493,286 |
| მავრიკი | 5,412,907,020 | 5,628,802,775 | 5,782,686,595 |
| მალავი | 1,791,105,912 | 1,838,219,295 | |
| მალაიზია | 201,164,987,762 | 224,668,592,709 | 246,919,421,716 |
| ჩრდილოეთ ამერიკა | 2,697,195,767,771 | 2,865,038,297,750 | |
| ნამიბია | 4,637,161,300 | 5,088,882,893 | 5,624,501,057 |
| ახალი კალედონია | | | |
| ნიგერი | 1,292,849,024 | 1,349,803,749 | |
| ნიგერია | 37,301,037,343 | 49,491,550,099 | |
| ნიკარაგუა | 5,165,902,265 | 5,698,861,779 | 5,506,948,079 |
| ნიდერლანდები | 623,180,430,253 | 688,993,437,963 | 757,572,385,351 |
| ნორვეგია | 130,785,833,333 | 144,703,606,690 | 165,427,482,324 |
| ნეპალი | 2,005,967,750 | 2,263,315,206 | 2,531,642,706 |
| ნაურუ | 49,821,280 | | |
| ახალი ზელანდია | 49,667,774,665 | 55,850,884,309 | |
| OECD წევრები | 12,815,773,708,068 | 13,882,909,825,380 | 15,129,483,171,338 |
| ომანი | 31,042,912,874 | 36,894,668,401 | 47,697,009,103 |
| სხვა პატარა სახელმწიფოები | 208,928,666,927 | 235,973,242,572 | |
| პაკისტანი | 25,484,992,271 | 25,114,128,153 | 26,661,402,111 |
| პანამა | 24,445,400,000 | 26,320,762,500 | |
| პერუს | 43,369,085,360 | 51,772,932,192 | 55,995,557,719 |
| ფილიპინები | 85,680,857,423 | 97,295,183,788 | 104,845,645,158 |
| პალაუ | 155,832,200 | 141,564,400 | |
| პოლონეთი | 246,372,882,216 | 286,020,162,464 | 323,993,410,305 |
| წინასწარი დემოგრაფიული დივიდენდი | 238,706,551,477 | 297,969,351,884 | |
| პუერტო რიკო | 71,742,200,000 | 71,090,900,000 | 60,573,800,000 |
| კორეა, დემ. სახალხო რეპ. | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუგალია | 82,540,092,407 | 93,642,896,660 | 103,723,551,271 |
| პარაგვაი | 12,756,978,958 | 14,191,128,088 | 14,569,860,309 |
| დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას | 2,381,000,000 | 2,692,700,000 | 2,903,500,000 |
| პოსტ-დემოგრაფიული დივიდენდი | 12,657,133,190,481 | 13,693,509,344,178 | 14,865,922,595,472 |
| კატარი | 72,397,252,747 | 85,204,395,604 | |
| რუმინეთი | 77,632,415,254 | 87,790,277,606 | 99,754,135,376 |
| რუსეთის ფედერაცია | 330,136,498,056 | 411,264,114,852 | 509,550,840,327 |
| რუანდა | 1,264,597,146 | 1,666,361,005 | 1,652,376,548 |
| სამხრეთ აზია | 526,351,277,021 | 587,396,190,460 | 632,591,684,990 |
| საუდის არაბეთი | 200,860,000,000 | 239,993,333,333 | 310,383,733,333 |
| სუდანი | 9,392,275,867 | 11,926,115,450 | 4,186,806,713 |
| სენეგალი | 4,102,472,782 | 4,598,102,920 | 5,272,398,189 |
| სინგაპური | 526,579,659,790 | 580,099,283,076 | 642,294,780,546 |
| სოლომონის კუნძულები | | | |
| სიერა ლეონე | 915,541,736 | 974,210,448 | |
| ელ სალვადორი | 6,884,540,000 | 7,224,710,000 | 7,532,560,000 |
| სან მარინო | | | |
| სომალი | 1,067,190,569 | 994,339,300 | 1,203,967,525 |
| სერბეთი | 19,752,651,695 | 22,298,811,513 | 25,715,543,084 |
| საჰარის სამხრეთი აფრიკა | 327,228,292,272 | 387,171,722,619 | |
| სამხრეთ სუდანი | 1,685,915,873 | | |
| საჰარის სამხრეთი აფრიკა | 328,379,806,800 | 388,522,581,174 | |
| მცირე სახელმწიფოები | 244,945,006,383 | 275,406,820,657 | |
| Sao Tome და პრინციპი | | | |
| სურინამი | | | |
| სლოვაკეთის რესპუბლიკა | 84,011,375,943 | 92,643,845,977 | 103,545,562,100 |
| სლოვენია | 34,716,057,850 | 40,158,389,976 | 46,212,897,935 |
| შვედეთი | 227,418,114,360 | 242,876,804,346 | 259,183,692,643 |
| Eswatini | 1,831,871,652 | 2,233,246,786 | |
| Sint Maarten (ჰოლანდიური ნაწილი) | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სეიშელის კუნძულები | 1,151,761,314 | 1,351,236,871 | 1,384,001,511 |
| სირიის არაბული რესპუბლიკა | | | |
| თურქები და კაიკოსის კუნძულები | | | |
| ჩადი | 2,653,411,875 | 3,379,062,441 | 4,057,771,239 |
| აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის | 3,183,688,511,012 | 3,541,683,619,235 | 3,855,280,744,621 |
| ევროპა და ცენტრალური აზია (IDA & IBRD ქვეყნები) | 1,114,111,254,452 | 1,313,833,556,903 | 1,520,525,241,566 |
| ასვლა | 1,577,308,712 | 1,584,671,461 | 1,670,255,584 |
| ტაილანდი | 282,021,792,591 | 310,393,903,323 | 337,428,892,424 |
| ტაჯიკეთი | 899,345,304 | 1,125,302,642 | |
| თურქმენეთი | 8,011,714,286 | 8,521,428,571 | 9,239,000,000 |
| ლათინური ამერიკა და კარიბები | 1,095,329,026,937 | 1,212,171,034,596 | 1,312,280,406,712 |
| ტიმორი-ლეეს | 1,450,396,594 | 1,519,433,115 | |
| ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა | 323,563,533,958 | 385,354,281,859 | |
| ტონგა | 85,489,809 | 92,286,813 | |
| ტუნისში | 16,722,532,588 | 17,394,932,628 | |
| თურქეთი | 189,717,174,310 | 211,220,249,991 | 226,981,860,165 |
| ტუვალუ | | | |
| ტანზანია | 8,138,039,819 | 8,072,890,864 | |
| უგანდა | 4,474,230,589 | 4,714,437,151 | 5,349,653,266 |
| უკრაინა | 46,023,216,040 | 53,867,411,624 | 59,149,280,344 |
| ზემო შუა შემოსავალი | 4,774,445,740,289 | 5,368,453,763,448 | 5,964,048,537,976 |
| ურუგვაი | 11,289,661,017 | 12,105,078,636 | 12,517,888,057 |
| შეერთებული შტატები | 2,217,576,000,000 | 2,350,175,000,000 | |
| უზბეკეთი | 12,166,497,622 | 12,897,516,781 | 14,700,073,464 |
| სენტ ვინსენტი და გრენადინები | 291,293,109 | 276,642,198 | |
| ვირჯინიის კუნძულები (აშშ) | 2,795,000,000 | 2,795,000,000 | |
| ვიეტნამი | 192,187,638,306 | 227,345,654,409 | 233,650,693,469 |
| მსოფლიო | 20,894,690,715,476 | 22,953,507,059,634 | 25,106,861,354,243 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სამოა | 242,866,243 | 262,106,681 | 267,277,120 |
| კოსოვო | 1,591,261,062 | 1,926,194,464 | 2,202,585,008 |
| სამხრეთ აფრიკა | 90,801,887,856 | 103,869,167,589 | 110,102,046,982 |
| ზამბია | 7,402,197,312 | 9,093,164,400 | 9,999,332,925 |
| ზიმბაბვე | 4,098,132,100 | 4,333,000,000 | 7,106,594,571 |

*შედგენილი : https://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD . 23.07.2019.*

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ანანიაშვილი, ი., მესხია, ი., სილაგაძე, ა., პაპავა, ვ., აჩელაშვილი, კ., წერეთელი, გ. (2003). მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. „მეცნიერება“, თბილისი.
2. ასლამაზიშვილი, ნ. (2003). საგარეო ვაჭრობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. ბახტაძე, ლ., კაკულია, მ., კაპანაძე, ნ. (2018). საქართველოს ეკონომიკის კვარტალური მიმოხილვა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი.
4. გველესიანი, რ. (1999). მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. გამომცემლობა „სამშობლო“. თბილისი.
5. გელაშვილი, ს. (2012). ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომც. ,,მერიდიანი“, თბილისი.
6. მექვაბიშვილი, ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი.
7. სილაგაძე, ა., ჩიკვაიძე, თ., ბასილია, თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
8. ღაღანიძე, გ. (2014). საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. თბილისი.
9. ხარაიშვილი, ე., საღარეიშვილი, ნ. (2016). ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამები და მათი ეფექტიანობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი.

10. ხარაიშვილი, ე. (2011). „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“. თბილისი.
11. ხარიტონაშვილი, ჯ. (2001). “მსოფლიო გლობალური პრობლემები“. თბილისი.
12. ჯამაგიძე, ლ., პაპაჩაშვილი, ნ., შაბურიშვილი, შ., სიხარულიძე, დ. (2011). საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში. „უნივერსალი“, თბილისი.
13. მოვსესიანი, ა. გ., ოგნივცევი, ს. ბ. (2003). მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბილისი.
14. მესხია, ი. (2012). საერთაშორისო ვაჭრობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
15. პაპავა, ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, „ინტელექტი“.
16. ხადური, ნ. (2010). საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბილისი.
17. ფუტკარაძე, რ. (2009). საქართველოს-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობა. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. თბილისი.
18. Gaganidze, G. (2018). Foreign Trade Of Georgia, Moldova And The Ukraine With The European Union After Signing The Association Agreement. Ecoforum, Volume 7, Issue 1(14). Tbilisi.
19. Khaduri, N. (2005). Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia. Problems of Economic Transition, vol. 48, no. 4, pp. 18–29.. Tbilisi.
20. Kubicek, P. (2009). The Commonwealth of Independent States: an example of failed regionalism? Review of International Studies. Regionalising the Global., pp. 237-256. Vienna.
21. Levelling the trading field for SMEs. (2018) World Trade Report 2018. Geneva .
22. Mekvabishvili E., Atanelishvili T. (2017). Personal Remittances in the Post-Soviet Countries. Georgian National Academy Of Sciences, vol. 11, no. 3. Tbilisi.

23. Papava, V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers. Tbilisi.
24. Roberts, M., Wehrheim, P. (2001). Regional Trade Agreements and WTO Accession of CIS Countries., Intereconomics. New York City.
25. Voitovich, S. A. (1993). The Commonwealth of Independent States: An Emerging Institutional Model. Research Report, European University, Florence,.
26. Yeldos, N. (2009). Economic Integration in the Commonwealth of Independent States. Perspectives, Problems, Solutions. Massey University, Albany, New Zealand.
27. Zubiashvili, T., Atanelishvili, T. (2019). Some Aspects Of The Georgia-CIS Trade Relations. Ecoforum, Volume 8, Issue 2(19). Tbilisi.
28. 2017 International Trade Statistics Yearbook. (2018). Department of Economic and Social Affairs Statistics Division., United Nations, New York City.
29. Быков, А.Н. (2009). Постсоветское пространство: стратегии интеграции и новые вызовы глобализации. СПб.: Алетейя.
30. Винокуров, Е., Либман А. (2010). Тренды региональной интеграции на постсоветском пространстве: результаты количественного анализа // Вопросы экономики. №7,. С. 94-107. Москва.
31. Внешняя торговля стран Содружества Независимых Государств 2009 / статистический сборник / Статкомитет СНГ. М., 2010. С. 27-28.
32. Головнин, М.Ю., Ушкалова Д.К., Якушева, А.Е. (2010). Влияние внешних шоков на экономики стран СНГ в период кризиса 2007-2009 годов (глобальный и региональный аспекты) // Евразийская экономическая интеграция. №1 (6), февраль,С. 16-17.
33. Курманалиева, Э.(2011). Международные потоки капитала в странах СНГ // Макромонитор СНГ.
34. Курманалиева, Э., Федоров, К. (2011). Влияние колебаний цен на нефть на экономики СНГ // Макромонитор СНГ. Евразийский банк развития. С. 37-38.

35. Либман, А.М., Головнин М.Ю. (2010). Тенденции инвестиционного взаимодействия стран СНГ и мировой экономический кризис// Евразийская экономическая интеграция, №4 (9), ноябрь. С. 3-26.

# *დასკვნა*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსირეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური მიმართულების მაგისტრანტის მათე შვანგირაძის ნაშრომზე, თემა: „საქართველოს საგარეო ვაჭრობა დსთ - ს ქვეყნებთან“

მათე შვანგირაძის მიერ წამოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი: „საქართველოს საგარეო ვაჭრობა დსთ - ს ქვეყნებთან“ შედგება შესავალის, ორი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატუტის ნუსხა.

წარმოდგენილი ნაშრომი საკვლევი პრობლემის დამოუკიდებელი-კომპლექსურად გამოკვლევის საინტერესო მცდელობაა.

კვლევითი ნაშრომი შესრულებულია მაღალ დონეზე - სრულად პასუხობს მასზედ წაყენებულ მოთხოვნებს და მისი ავტორი იმსახურებს მაღალ შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ბატონ მათე შვანგირაძის სამაგისტრო ნაშრომს მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე